პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 145 (19886) ოთხშაბათი, 24 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ცნობები ორბიტიდან

ფრენის მართვის ცენტრი, 23 ივნისი. (საკდესი). გრძელდება იური რომანენკოსა და ალექსანდრე ლავეიკინის ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა.

გასულ დღეებში ეკიპაჟის მუშაობის პროგრამა შეიცავდა ტექნიკურ ექსპერიმენტებს, კომპლექსის ცალკეული სისტემებისა და ხელსაწყოების რეგლამენტურ მომსახურებას, ატმოსფეროში მიმდინარე მეტეოროლოგიური პროცესების დაკვირვებას.

ეკიპაჟმა შეასრულა საბაზო ბლოკის შიგნით ელექტრული ჯაჭვების კომუტაციის დასკვნითი ოპერაციები და მზის მესამე ბატარეა ჩართო „მირ“ ორბიტული კომპლექსის ელექტროკვების სისტემის ერთიან კონტურში.

დღეს იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი ძირითადად ამზადებენ სამეცნიერო აპარატურას მომავალი გამოკვლევებისა და ექსპერიმენტებისათვის.

ორივე კოსმონავტი თავს კარგად გრძნობს.

„მირ“ პილოტირებული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის წინ

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მომავალ მეშვიდე სესიასთან დაკავშირებით 23 ივნისს კრემლში გაიმართა დეპუტატთა ერთობლივი მოსამზადებელი კომისიის სხდომა. კომისიაში შედიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების — საგეგმო-საბიუჯეტო, საკანონმდებლო განზრახულობათა და სხვა კომისიების წევრები. განიხილეს საკითხი „ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ“. სსრ კავშირის მთავრობის დავალებით მოხსენება გააკეთა მართვის, დაგეგმვისა და საეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. ა. სიტარიანმა.

სხდომაზე შეიქმნა დეპუტატთა სამუშაო ჯგუფები სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის პროექტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებული სხვა მასალების წინასწარი განხილვისათვის. (საკდესი).

ქვეყნად მშვიდობისა და ბედნიერებისათვის

ქალთა მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.
საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ქალისათვის არა არის რა იმაზე დიდი სიკეთე, ვიდრე ცხოვრობდეს მშვიდობით, არა არის რა იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე შესცქეროდეს მზიან ცას, ისმენდეს შვილის მხიარულ ტიკტიკს. თავისი არსით აღმშენებელი ქალი, თავდადებით ებრძვის ყველაფერს, რასაც უბედურება და ვაება მოაქვს ადამიანებისათვის. სიცოცხლის გამგრძელებელი ქალი გრძნობს დიდ პასუხისმგებლობას მისი შენარჩუნებისათვის, და მაშასადამე, — დედამიწის მომავლისათვის. მტკიცედ და ვაჟკაცურად ცდილობს იგი თავიდან ააცილოს პლანეტას მოღერებული ბირთვული მახვილი, რომელიც კატასტროფას უქადის თვით ადამიანთა ცივილიზაციას.

სულ უფრო მძლავრად გაისმის ქალთა ხმა მშვიდობისა და აღმშენებლობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლაში. „2000 წლისათვის — უბირთვულიარაღოდ! მშვიდობისათვის, თანასწორობის განვითარებისათვის!“ — ამ დევიზმა ჩამოიყვანა მოსკოვში ხუთი კონტინენტის წარმომადგენლები: 150-ზე მეტი ქვეყნის წარმოგზავნილები შეიკრიბნენ კრემლის ყრილობათა სასახლეში, სადაც 23 ივნისს გაიხსნა ქალთა მსოფლიო კონგრესი. სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების, მრწამსის, სოციალური წარმომავლობის ადამიანები მზად არიან დაიწყონ გულახდილი არაფორმალური დიალოგი. ამ კეთილშობილური მისწრაფებებით ნაკარნახევმა დიალოგმა უნდა გაიერთიანოს ძალისხმევა ჩვენი დროის უმთავრეს მოძრაობაში — პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნებისათვის მოძრაობაში.

პრეზიდიუმში იყვნენ კონგრესის საერთაშორისო და საბჭოთა მოსამზადებელი კომიტეტების წევრები, ქალთა საზოგადოებრიობის ეროვნული, საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციებისა და მოძრაობების ხელმძღვანელები. შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს **მ. ს. გორბაჩოვს,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებს **ა. პ. ბირიუკოვს, ა. თ. დობრინინს.**

ქალთა მსოფლიო კონგრესი გახსნა ქალთა საერთაშორისო დელეგაციის — კონგრესის ინიციატორის სახელით მხურვალედ მიულოცა კონგრესის ყველა მონაწილესა და სპპატიო სტუმარს და გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ქალებს, რომლებიც მოსკოვში მასპინძლობენ მსოფლიო ფორუმის მონაწილეებს.

მოსკოვში, თქვა მან, ჩამოვიდნენ მუშები, გლეხები, პარლამენტარები, მინისტრები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ქალიშვილები და დედები, ბებიები და ბებიის დედებიც კი, ქალები, რომლებიც კაცობრიობის ნახევარზე მეტს წარმოადგენენ.

რისთვის ჩამოვედით აქ? ამ კითხვაზე, თქვა შემდეგ ორატორმა, ალბათ, ორი ათას პასუხს მივიღებ, მაგრამ ყველა პასუხის არსი ერთი იქნება: ჩვენ ერთიანი ვართ, ჩვენ გვაერთიანებს მისწრაფება მშვიდობის, სამართლიანობისა და თანასწორობისადმი.

მრავალ ქვეყანაში ქალთა სტატუსი უცვლელად რჩება, ბევრში კი გაუარესდა კიდეც. არსებობს დრომოჭმული ჩვეულები, ტრადიციები, რომლებიც ქალებს კვლავ ინდებურად მორჩილის როლს აკუთვნებენ. ხორციელდება ქალთა დისკრიმინაცია. მათ სასტიკ ექსპლოატაციას უწევენ წარმოებაში, და ეს წარმოიჩენს კიდეც ზოგიერთ საზოგადოებაში ღრმად ფეხმოკიდებულ უსამართლობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოთ ღარიბებს, შეურაცხყოფილთ, იმათ, ვინც შეიარაღებული კონფლიქტებისა და ჩაგვრის მსხვეპლია. აქ, ფორუმზე, მათ შესაძლებლობა ექნებათ გაიღაქმჭრონ აპარეიდის, ჩაგვრის, კერის მოშლის წინააღმდეგ, მოიუწოდონ ბრძოლისა და სოლიდარობისათვის. ჩვენი სტრატეგიული პროგრამა ვგმობს გამაღლებული შეიარაღებისათვის ადამიანთა და მატერიალური რესურსების განიავებას. მშვიდობის მიღწევა ხელს შეუწყობს სრული თანასწორუფლებიანობის მიღწევას.

ბირთვული ომის საფრთხემ წარმოშვა მშვიდობის მომხრეთა უდიდესი მოძრაობა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ ქალები. მათ მრავალი ინიციატივა გამოიჩინეს, და თუ ეს ინიციატივები განხორციელდება, ეს რეალური ნაბიჯი იქნება ბირთვული და საყოველთაო განიარაღების გზაზე. „დელის ექვსეულის“ წინადადება, მიუმხრობელი ქვეყნების ბლოგმა, საბჭოთა კავშირის ბევრი სამშვიდობო წინადადება, 2000 წლისათვის უბირთვო მსოფლიოს გეგმა კაცობრიობის ბედში საარსებო მნიშვნელობის როლს ასრულებენ.

გვახსენდება მშვიდობის მომხრეთა მარშები ევროპაში, მშვიდობის ბანაკები, განსაკუთრებით გრინემ-კომონში, მშვიდობის სკოლები, მშვიდობის სასარგებლო აქციები ნაირობში, ქალთა მოძრაობა უმაღლეს დონეზე ეფექტიანი შეხვედრებისათვის, დეპუტაციები, დემონსტრაციები, პეტიციები და ქალთა სხვა ინიციატივები აზიაში, აფრიკაში, ავსტრალიაში და ყველა კონტინენტზე.

ამაზე ვილაპარაკებთ კონგრესზე, ხაზგასმით აღნიშნა ფრიდა ბრაუნმა. ჯეროვან პატივს მივაგებთ ყველა ქალს, რომელთა ინიციატივა მიზნად ისახავს პლანეტის განთავისუფლებას ბირთვული ომის საფრთხისაგან.

აქ შეიკრიბნენ ქალები სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნებიდან, რომლებსაც ასევე სხვადასხვა რელიგია, სხვადასხვა პრობლემა, სხვადასხვა იმედი და საზრუნავი აქვთ. მაგრამ მწამს, კონგრესზე გაბართული დისკუსია გვიჩვენებს, რომ ჩვენ უფრო მეტი გვაქვს საერთო, გამაერთიანებელი, ვიდრე უთანხმოებანი.

კონგრესი შესაძლებლობას მოგვცემს ერთმანეთს გავუზიაროთ აზრები, იდეები, განვიხილოთ პრობლემები. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, მაგრამ მოდით ერთმანეთსაც მოვუსმინოთ. ყველა, ვისაც მოესურვება, მიიღებს გამოსვლის შესაძლებლობას. კონგრესის ორგანიზაციას მოქნილი ხასიათი აქვს. მისი მონაწილენი შეხვდებიან ერთმანეთს კომისიებში, მრგვალ მაგიდებთან, გაყაუბრებებზე. შეეცადეთ გაგვეთვალისწინებინა ყველა სურვილი. კონგრესისათვის ერთ წელზე მეტია ვემზადებოდით. გავმართეთ კონსულტაციები სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ყველა კონტინენტზე, გარემოს დაცვისათვის მებრძოლ ქალებთან, მშვიდობისმოყვარე ჯგუფებთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებთან. ეს არის 50-ზე მეტი დისკუსიის მხოლოდ წაწილი, რომლებიც მზადების დროს გაიმართა. ფორუმის ორგანიზაცია ისეთია, რომ ყველა თქვენგანი თავს ისე იგრძნობს, როგორც შინ. მინდა დაგარწმუნოთ, რომ არავინ არ შეეცდება ვინმეზე მოახდინოს რაიმე ზეგავლენა. ამიტომ არ იქნება არავითარი რეზოლუცია, დოკუმენტი, კენჭისყრა. ჩვენი მიზანია რაც შეიძლება მეტი დრო დავუთმოთ მონაწილეთა გამოსვლებს. შეგიძლიათ მოაწყოთ საკუთარი დიალოგებიც და არაოფიციალური შეხვედრებიც.

კონგრესზე უკვე წარმოდგენილია 154 ქვეყანა, 78 რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია, ესწრება 2286 მონაწილე, ისინი ჯერ კიდევ ჩამოდიან. დისკუსიათა მიმდინარეობა და მათი საბოლოო შედეგი ჩვენზეა დამოკიდებული.

კონგრესის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა **მ. ს. გორბაჩოვმა.** დამსწრეთ სიტყვა მოისმინეს დიდი ყურადღებით. სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა ტაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის წინ

ძმათა შეხვედრა ჰბილეგული ჩანგი

თბილისში დაიწყო ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გასტროლები

23 ივნისს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში აღიერდა კომპოზიტორ ტ. ჩუხაჯიანის ოპერის „არშაკ მეორის“ დიდებული უვერტიურა. მან გვამცნო საქართველოს დედაქალაქში სომხეთის სამუსიკო ხელოვნების დათვალიერების დაწყება, სადაც დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წინ საგასტროლოდ ჩამოვიდა ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი.

მოძმე რესპუბლიკის წარგზავნილთა შემოქმედებითი ანგარიშის პირველმა საზეიმო აკორდმა შეკრიბა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ხელოვნების მოღვაწეები, საოპერო მუსიკის თაყვანისმცემლები.

სპექტაკლის დაწყების წინ სომხეთის ხელოვნების ოსტატებს გულთბილად მიესალმა საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ი. გამრეკელი.

—რამდენიმე წუთის შემდეგ,— თქვა მან, — აიწევა ფარდა, ხემი შეეხება სიმებს და დარბაზი აივსება ტიგრან ჩუხაჯიანის ოპერის „არშაკ მეორის“ ამაღელვებელი მუსიკით. ამავე დროს ერევანში მსმენელი შეხვდება ზაქარია ფალიაშვილის უკვდავ მუსიკალურ სამყაროს ოპერაში „აბესალომ და ეთერი“. შეიკვრება კიდევ ერთი რგოლი მეგობრობის იმ ჯაჭვში, რომელიც ხელოვნების საშუალებით მტკიცედ აკავშირებს სომეხ და ქართველ ხალხებს.

გაცვლითი გასტროლები სამართლიანად იქნება ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, საბჭოთა მრავალეროვნული კულტურის ოსტატთა ნაყოფიერი თანამშრომლობის მკაფიო დემონსტრაცია.

თბილისელებს ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ შეხვედრები ერევნის დრამატული თეატრის, ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის, სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის სომეხ მსახიობებთან. ჩვენი მოძმე ხალხების მეგობრობის მატიანეში მკაფიო ფურცლები ჩაწერეს თბილისში გამოჩენილი სომეხი ოსტატის მარტიროს სარიანის, ხოლო ერევანში ლადო გუდიაშვილის ნამუშევრების ახლახან გამართული გამოფენებმა. ამ ორი ფერმწერის შესანიშნავმა ქმნილებებმა არა მარტო აზიარეს ჩვენი შრომელების დიდი ხელოვნების სამყაროს, არამედ განამტკიცეს კიდეც მათი სულიერი სიახლოვე.

ი. გამრეკელმა სტუმრებს უსურვა წარმატებული გასტროლები თბილისში და დიდი შემოქმედებითი გამარჯვებები.

მსმენელებით სავსე დარბაზი მხურვალე ტაშით მიესალმა თეატრის მუსიკალურ ხელმძღვანელსა და მთავარ დირიჟორს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ო. ჩეკიჯიანს, რომელიც სადირიჟორო პულტთან იდგა.

შემდეგ სიტყვა მუსიკას დაეთმო. სპექტაკლში, რომელიც ალადგენს სომეხი ხალხის ისტორიის ამაღელვებელ ფურცლებს, შთამბეჭდავი სახეები შექმნეს სომხეთის სახალხო არტისტებმა გ. ალავერდიანმა, გ. გალჩიანმა და გ. გრიგორიანმა, სომხეთისა და საქართველოს სახალხო არტისტმა ე. უბუნიანმა და სხვებმა.

ტ. ლევონიანის საინტერესო რეჟისორულმა გადაწყვეტამ, ე. სოფრონოვის შთამბეჭდავმა სცენოგრაფიამ, ა. ასტრიანის გამომსახველმა ქორეოგრაფიამ დადგმის წარმატება უზრუნველყვეს.

იგი სამართლიანად გაიზიარა სპექტაკლის მუსიკალურმა ხელმძღვანელმა და დირიჟორმა ო. ჩეკიჯიანმა, რომლის ოსტატობას გულგრილი არავინ დაუტოვებია. ჩვეული ვირტუოზულობით, ტემპერამენტითა და არტისტიზმით დირიჟორობდა იგი ორკესტრს.

თბილისელებმა ტაშით დაჯილდოვეს სომეხი მსახიობები, მიართვეს მათ ყვავილები.

პირველ საგასტროლო სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, გ. ნ. ენუქიძე, ზ. ა. ჩხეიძე.

(საქინფორმი).

მ. ს. გორბაჩოვის მისასალმებელი სიტყვა ქალთა მსოფლიო კონგრესის მონაწილეებისადმი

კატიკეეულო სტუმრებო!

ძვირფასო მეგობრებო, ამხანაგებო!

უაღრესად მადლობელი ვარ, რომ მომიწვიეთ, რათა გამოვსულიყავი თქვენს წინაშე. ალბათ, შენიშნავდით, როგორი ყურადღებით, სიმპათიით, კეთილმოსურნეობა გხვდებიან თქვენ — კონგრესის დელეგატებს — საბჭოთა ადამიანები. ეს ბუნებრივია, რადგან თქვენი მისწრაფებები, თქვენი იმედები და საზრუნავი ახლოსაა ჩვენთვის, ხოლო იმას, რომ თქვენც კონგრესს მოსკოვში აწყობთ, საბჭოთა ადამიანები ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკისადმი ნდობის ნიშნად მიიჩნევენ. **(ტაში).**

ამაღლებული და კეთილშობილურია თქვენი კონგრესის მიზნები — დაიცვათ სიცოცხლე და უფრო სამართლიანი გახადოთ ცხოვრება პლანეტაზე. დღეს ეს მსოფლიო პოლიტიკის საჭირბოროტო ამოცანაც არის.

მესამე ათასწლეულის დადგომის წინ კაცობრიობა მოვალეა გადაწყვიტოს ბევრი რთული პრობლემა. ეს არის ენერგეტიკული რესურსების დაშრეტა, და ათობით, ასობით მილიონი ადამიანის შიმშილი, სიღატაკე, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა, რომელიც ლამის ყველა ქვეყანას ეხება; ჯერ ძველი, ახლა კიდევ სულ ახალ-ახალი საშინელი სნეულებანი. მაგრამ ყველა ეს და საერთაშორისო მასშტაბის სხვა პრობლემებიც მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების ამოცანასთან. თუ არ ვესწრაფვეთ უბრთვო, უძალადო მსოფლიოს, ჯნას ვერ გავუკეთებთ კაცობრიობის პროგრესს. ეს შეგვაძლებინებს თავი გავართვათ პრობლემებს, რომლებსაც რთული, დრამატული და მრავლისმომსწავლებელი დრო გვისახავს.

არც ერთ ჩვენგანს არ ძალუძს ახლიდან დაწეროს ისტორია — აღწეროს მისი მძვინვარე ომები, სახელმწიფოების, კლასების, ადამიანების ქიშპი, ადამიანის სულის ალმაფრენა და დაცემა, ტრაგედიები და ტრიუმფები. მაგრამ ეს არის გათიშული კაცობრიობის ისტორია, კაცობრიობისა, რომელსაც შეგნებული არ ჰქონდა თავისი ერთიანობა.

თანამედროვე მრავალფეროვან სამყაროში, სადაც ყოველ ხალხს დამოუკიდებელი არჩევნის უცილობელი უფლება აქვს, დადგა მომენტი, რომ ყველამ გაუწიოს ანგარიში მსოფლიო გაერთიანების მთლიანობას, შეიგრძნოს, რომ ჩვენზე, ახლანდელ თაობაზეა დამოკიდებული კაცობრიობის ყოფნა-არყოფნა.

თქვენი კონგრესი შთამბეჭდავი გამოვლინებაა იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ადამიანები სულ უფრო მეტად გრძნობენ თავიანთ წილნაყარობას მსოფლიოში მიმდინარე ამბებთან.

ხალხი დაღალა კატასტროფის მტანჯველმა მოლოდინმა. იზრდება გაგება იმისა, რომ საშიშროებას თავიდან ავიცილებთ მხოლოდ მაშინ, თუ გადალახავთ სახელმწიფოთა გამითიშველ გარდაუვალ იდეოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ტიხრებს და ერთმანეთს გავუწვდით ხელს. უნდა გითხრათ, რომ სწორედ ქალები აღიქვამენ განსაკუთრებით სრულად, ემოციურად, მწვავედ მშვიდობის შენარჩუნების აბსოლუტურ პრიორიტეტს ყოველივე სხვასთან შედარებით. **(ტაში).**

ქალებს უთქვამთ: ქვეყნად სამი რამ ფასობსო ყველაზე მეტად. ცხოველმყოფელი ძალისა და ჯანმრთელობის მომნიშვნელი პური არსობისა, წიგნებში ჩაქსოვილი და დროთა დამაკავშირებელი სიბრძნე. და ქალი, სიცოცხლის უშრეტი წყარო. **(ხანგრძლივი ტაში).** ყველა დროის სიბრძნესო მოაზროვნენი ხაზგასმით აღნიშნავდნენ ქალის მშვიდობისმყოფელურ როლს, მის უნარს დაეშოშმინებინა მოშუღლენი, გაეკეთილშობილებინა გაავებული გულები. და რა გასაკვირია, რომ დღეს მშვიდობის იდეის ყველაზე უანგარო, თავდადებულ და მასობრივ ქომაგად გვევლინება ქალი, რომელიც თავად ბუნებას გაუჩენია კაცთა მოდგმის მცველად და გაშგრძელებლად. **(ტაში).** ქალთა ორგანიზაციებისა და მოძრაობების ენერგიული, მგზნებარე ომისაწინააღმდეგო ინიციატივები და გამოსვლები საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატის განუყოფელ თავისებურებად იქცა.

ქალთა საერთაშორისო მოძრაობამ საგრძნობლად განამტკიცა მშვიდობისა და კეთილი ნების პოტენციალი, და აიძულა მსოფლიო ყურად ეღო მისი ხმა. ეს პოლიტიკის რეალური ფაქტორია.

ის, რასაც ქალები აძლევენ საზოგადოებას, და რისი მიცემაც შეუძლიათ, დამოკიდებულია საზოგადოების უნარზეც — მიანჭოს ქალს რეალური უფლებები, სოციალური დაცვა, უზრუნველყოს მისი სათანადო სოციალური განწყობილება. **(ტაში).** ქალთა ემანსიპაციის დონე მთელი საზოგადოების ემანსიპაციის ბუნებრივი საწყაოა. „შეუძლებელია იყოს, არც არის და არც იქნება ნამდვილი „თავისუფლება“, ვიდრე არ არსებობს ქალის თავისუფლება მამაკაცისათვის კანონით მინიჭებული პრივილეგიებისაგან“, — ეს ვ. ი. ლენინის სიტყვებია **(ხანგრძლივი ტაში).** ამას დავძენდი, რომ ქალის მდგომარეობისმიერი სახელმწიფოს დემოკრატიზმის ბარომეტრი, მასში ადამიანის უფლებათა პატივისცემის მაჩვენებელია **(ტაში).**

მთელი მსოფლიოს ქალები სამართლიანად მოითხოვენ, რომ ყურად იღონ მათი ხმა და გაითვალისწინონ მათი ნება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო გადაწყვეტილების მიღებისას. მათ სურთ ხედავდნენ, გრძნობდნენ, რომ საზოგადოება უფასებს შრომას, ნიჭს, სჭირდება მათი ცხოვრებისეული სიბრძნე, მათი გულითადი სითბო და სულგრძელობა. ქალებს სურთ დარწმუნებული იყვნენ, რომ მათს ოჯახებს არასდროს არ დატოვებენ გასაჭირში, რომ გარანტირებული ექნებათ ნორმალური ცხოვრების საჭირო პირობები, რომ მათი შვილები მიიღებენ განათლებას, ავადმყოფ ბავშვებს კი ყოველთვის აღმოუჩენენ დახმარებას.

თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ იცოდეთ, როგორ ვუყურებთ ყველა ამ პრობლემას ჩვენს ქვეყანაში, რას ვაკეთებთ მათ გადასაჭრელად.

ჩვენ საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ თავიანთი დიდი რევოლუციის 70 წლისთავს. კაცობრობის ისტორიაში მან ბევრი რამ პირველად გააკეთა. **(ტაში). პირველად** გაუხსნა გზა ისეთ ცივილიზაციას, რომელშიც არ არის ექსპლოატაცია, არ არიან შიერიმწყურვალნი და დაჩაგრულნი, არ არის უმუშევრობა და უწიგნურობა. მშრომელ ხალხს **პირველად** მიეცა შესაძლებლობა თავის საკეთილდღეოდ აეშენებინა საზოგადოება. ყველა ერი და ეროვნება **პირველად** გახდა თანასწორუფლებიანი და შექმნა უნიკალური ინტერნაციონალური გაერთიანება. **პირველად** გაჩნდა სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებული თავისი ყოველი მოქალაქის სულიერი ამაღლებით, მისი შეგნებული პოლიტიკური აქტიურობით. არც ერთ სახელმწიფოს, არც ერთ დემოკრატიულ კანონმდებლობას 1917 წლამდე არ გაუკეთებია ქალისადმი იმის ნახევარიც კი, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ გააკეთა თავისი არსებობის პირველ თვეებშივე **(ტაში).** ქალს სსრ კავშირში ნამდვილად მამაკაცის თანაბარი უფლებები აქვს, ზოგ რამეში — მეტიც. **(სიცილი, ტაში).** არავითარი დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურებაში, განათლების მიღების, სამსახურებრივი კარიერის, პარტიის საქმიანობაში, ხელისუფლების სამთავრობო და ადგილობრივ ორგანოებში მონაწილეობის ერთნაირი პირობები. ქალები მუშაობენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ისინი დომინირებენ ისეთ სფეროებში, როგორიც არის ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა. უფრო მეტიც: უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა შორის ქალები ჩვენში 60 პროცენტს შეადგენენ **(ტაში).**

შეგვიძლია თუ არა ზემოთქმულიდან დავასკვნათ, თითქოს ჩვენ აქ ყველაფერი რიგზე გვქონდეს? სრულიად გულახდილად გეტყვით: არა.

ზოგიერთი ნაკლი, როგორც ცალკეულ ადამიანებსაც სჩვევიათ, ჩვენი საზოგადოების ღირსებებს მოსდევს. საზოგადოებრივ წარმოებაში, პოლიტიკურ, მეცნიერულ და კულტურულ მოღვაწეობაში ქალთა აქტიურმა და თანასწორუფლებიანმა მონაწილეობამ გაზარდა ქალის ავტორიტეტი, მისი თვითპატივსცემა, ღირსების, მამაკაცისგან დამოუკიდებლობის გრძნობა.

(დასასრული მე-2 გვ.)

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

22 ივნისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და კუბის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი სრულყოფის, მისი ეფექტიანობის ზრდის საკითხებს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ნ. სლიუნკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. ბირიუკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ს. მურახოვსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. კ. გუსევი, ვ. მ. კამენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, სამრეწველო საწარმოებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელები, მეცნიერები, ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და კუბის რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩები და საბჭოთა საელჩოების ეკონომიკური საკითხების მრჩევლები.

ინფორმაციით გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგარეო-ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე ვ. მ. კამენცევი.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სულ უფრო იზრდება ვიეტნამის, მონღოლეთისა და კუბისათვის ეკონომიკური დახმარებისა და ხელშეწყობის მასშტაბი, რაც შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობის დებულებებს, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერნაციონალურ ინტერესებს. სსრ კავშირის დახმარებით ამ ქვეყნებში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ათასობით საწარმოო ობიექტი, მომზადდა ასეთასობით ეროვნული ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და კვალიფიციური მუშა. ამ საწარმოებში გამომუშავებენ ელექტროენერგიის უდიდეს ნაწილს სათბობ-ენერგეტიკული, სამთომომპოვებელი, ლითონდამამუშავებელი, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციას. მეგობრები დიდად აფასებენ ინტერნაციონალურ წვლილს, რომელიც საბჭოთა კავშირს მიუძღვის ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში.

ამავე დროს აღინიშნა, რომ არის იმ საწარმოების მშენებლობისა და სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვები, რომლებიც იქმნება სსრ კავშირის ეკონომიკური და ტექნიკური ხელშეწყობით, საჭირო თანამშრომლობის საკითხების კომპლექსური გადაწყვეტა, ობიექტების შერჩევისადმი ოპტიმალური მიდგომა, სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცება, ნაკისი ვალდებულებათა ხარისხიანი შესრულებისათვის მხარეების პასუხისმგებლობის გაძლიერება.

თათბირზე გამოვიდა ი. კ. ლიგაჩოვი. მან ხაზგასმით აღნიშნა: მომქმედ პარტიებისა და სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრებზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის გაღრმავებისა და სრულყოფის ამოცანა მჭიდროდ უკავშირდება იმას, რომ საჭირო მათი ეკონომიკური განვითარების დონის თანდათანობით გათანაბრება. ეს გულისხმობს, რომ მომძმე ქვეყნებმა კვლავაც უნდა გაუწიონ დახმარება ვიეტნამს, მონღოლეთსა და კუბას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საქმეში.

საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის, საბჭოთა კავშირ-მონღოლეთისა და საბჭოთა კავშირ-კუბის ეკონომიკური ურთიერთობის დარგში ბევრი მიღწევა გვაქვს. მაგრამ სერიოზული ნაკლოვანებანი საშუალებას არ გვაძლევს მთელი რიგი ჩვენი სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობა დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ. მათ ვერ გამოიტანეს სათანადო დასკვნები მომქმე ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებიდან. უნდა გარდაიქმნას მუშაობა ამ მიმართულებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეპყროს იმას, რომ თანამშრომლობის პრაქტიკაში დანერგოს ახალი პროგრესული ფორმები — პირდაპირი საწარმოო და სამეცნიერო კავშირურთიერთობა, შეიქმნას ერთობლივი საწარმოები და გაერთიანებები, განვითარდეს სხვა ინტეგრაციული კავშირურთიერთობა.

სამინისტროებმა და უწყებებმა ყურადღებით უნდა განიხილონ თათბირზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები, გაითვალისწინონ ისინი პრაქტიკული მუშაობის დროს. ცენტრალური კომიტეტის განყოფილებები მოწოდებული არიან შეუნელებლად ადევნონ თვალი, როგორ მიმდინარეობს ვიეტნამთან, მონღოლეთთან და კუბასთან ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობისათვის მუშაობის გარდაქმნა, მხედველობაში იქონიონ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და პასუხსაგებია ეს ამოცანა. (საკდესი).

ქვეყნად მშვიდობისა და ბედნიერებისათვის

(დასასრული)

მაგრამ ყოველივე ამას თან როდი სდევდა შრომის შემსუბუქება მისი ოდნებელი ფუნქციების — დედის, მეუღლის, აღმზრდელის ფუნქციების შესრულების დროს. ზოგიერთი პრობლემა გამწვავდა მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში არსებული ნაკლოვანებების გამო. ამრიგად, ქალის სოციალური დატვირთვა გაიზარდა.

საერთოდ ოჯახის გაჯანსაღება, მისი ზნეობრივი პოტენციალის გაზრდა უაღრესად აქტუალურ სოციალურ ამოცანად მესახება.

თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ ჩვენი საზოგადოება ღრმა ცვლილებების უჩვეულოდ საინტერესო და მეტისმეტად რთულ პერიოდს განიცდის. ჩვენ მას გარდაქმნა ეუწოდეთ. **(ტაში).**

გარდაქმნა საშუალებას მოგვცემს მთელი სიგრძე-სიგანით წარმოვაჩინოთ სოციალიზმის პოტენციალი. მასში ხალხის ყველა ფენას ვაბამთ. სარბიელს ვაძლევთ ინიციატივას, შემოქმედებას, ნიჭს, უნარს. ყველას მოეძებნება საქმეც და ადგილიც ამ დიდ მუშაობაში. და ჩვენ ყველანი კვლავ ვსწავლობთ და ვასწავლით ერთმანეთს გარდაქმნის პირობებში მუშაობას. საქმე ეხება იმას, რომ თვისებრივად ახალი იერი მივანიჭოთ სოციალისტურ წყობილებას, განვავითაროთ მის პრინციპულ საფუძველში ჩაქსოვილი ჰუმანიზმი, ადამიანის ღირსების პატივისცემა, ახალ საფეხურზე ავამაღლოთ სოციალისტური სამშობლოს მოქალაქის წოდება. ამას ფართო დემოკრატიზაციის მეთოდებით ვაკეთებთ. გულახდილობა და საჯაროობა, სამართლიანობა და ადამიანისადმი ნდობა, მათი აზრის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობა, კანონებისა და მორალური ნორმების დარღვევების შეუწყნარებლობა, უპატიოსნობის, სიცრუის, სიბილწის, პარაზიტიზმის საქვეყნო მხილება — მარტო ამანაც კი უკვე საგრძნობლად შეაცვალა საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი ატმოსფერო, თუმცა ძალზე ცოტა დრომ გაიარა. **(ტაში).**

ჩვენ გვსურს მაქსიმალურად გამოვათავისუფლოთ და გავაქტიუროთ გარდაქმნისათვის საბჭოთა ქალების ინიციატივა. ცოტა ხნის წინ დიდი ნაბიჯი გადავდგით ამ მიზნით. მთელ ქვეყანაში შევქმენით ქალთა საბჭოების ქსელი, და გავაერთიანეთ ისინი ერთიან სისტემად საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის მეთაურობით.

ქალთა საბჭოების მუშაობისაგან ბევრს მოველოდნ. ქალთა საბჭოები ქალის ენერგიის, ინიციატივის თავისებური აკუმულატორები არიან. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობის მისია დაკისრათ. ყოველი ქალაქის, ყოველი სოფლის, ქარხნის, საცხოვრებელი უბნის, სახლის ცხოვრების ფერხულში ჩაბმული **ქალთა საბჭოებს ყველაზე უკეთ შეეფინებათ** ქალებისა და მათი ოჯახების პრობლემები, დროულად დაეხმარებიან და, თუ საჭირო გახდა, მოიშველიებენ ხელისუფლების ორგანოებსაც.

მინდა გამოვყო ერთი საკითხი — ყმაწვილი თაობის აღზრდა. მოდის ახალი თაობა. მან უნდა ჩაიბაროს სოციალიზმის ესტაფეტა უფროსებისაგან და ატაროს იგი შემდგომ, იგი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ ახლებურად წარმართოს ურთიერთობა მსოფლიოში, რომელიც სულ უფრო ურთიერთდამოკიდებული ხდება.

და ქალს — ოჯახში, სკოლაში, ყველგან — უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება იმისათვის, რომ მომავალი მოქალაქე სიყრმიდანვე იზრდებოდეს თავისი ხალხისა და მისი კულტურის, სხვა ერებისა და რასების ადამიანების პატივისცემით, მათი კულტურის, ცხოვრების წესის პატივისცემის სულისკვეთებით. **(ტაში).** დღეევანდელ გოგონებსა და ბიჭუნებს ხვალ ერთ პლანეტაზე მოუწევთ ცხოვრება და შუმაობა კიდევ უფრო მეტი კონტაქტით, ვიდრე ჩვენ გვაქვს.

ჩვენ გვჯერა დაწყებული საქმის წარმატებისა. ჩვენს საზოგადოებას, რომელმაც მტრულ გარემოცვაში გადარჩენისათვის, უზარმაზარი და ჩამორჩენილი ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლის გმირული და მკაცრი გზა განვლო, ამ ამოცანის გადაწყვეტაც შეუძლია. თუმცა იგი, რა თქმა უნდა ძალზე რთულია — ჩვენ ეს ვიცით — და გვაძლევს ბევრი რამ ხელახლა გავიაზროთ ჩვენს წარსულსა და აწმყოში, მოითხოვს გაბედულ, არაორდინალურ გადაწყვეტებს, უდიდეს პასუხისმგებლობასა და მართლაცდა თავგანწირულ გარჯას. ბევრი რამის დაძლევა გვიხდება საკუთარ თავში, ვინაიდან, როგორც უკვე არაერთხელ გვითქვამს, ჩვენ ყველანი ჩვენი დროის ადამიანები ვართ.

და არცთუ ისე ადვილად მივედით ახალ აზროვნებამდე. იგი წარმოშვა არა მარტო ჩვენი საშინაო პრობლემების თანამედროვე და ნამდვილი გადაჭრის საჭიროებამ, არამედ იმანაც, რომ იგი არის ძიება პასუხისა გამოწვევაზე, რომელსაც მთელ კაცობრიობას უყენებს დრო. ეს მრისხანე გამოწვევაა, როგორსაც კაცობრიობა ჯერ არასდროს გადაწყდომია.

XX საუკუნის მიწურული გარდატეხის მომენტი გახდა ცივილიზაციის ისტორიაში. მეცნიერებისა და ტექნიკის უპრეცედენტო განვითარებამ თვისებრივი გადატრიალება მოახდინა სამხედრო საქმეში: ადამიანმა ხელთ იგდო იარაღი, რომელსაც ძალუძს, მისი თუნდაც მცირე ნაწილი მაინც რომ აფეთქდეს, პლანეტა ნაკარტუტად აქცოს. ამის დაუშვებლობა პრიორიტეტული ამოცანა გახდა.

მაგრამ ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს. უზნეობაა აღფრთოვანება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით და თვალის დახუჭვა იმაზე, რომ მისი ნაყოფით დედამიწის მცხოვრებთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი სარგებლობს. ასობით მილიონი ვერ ჭამს ძღომაზე, ვერ კითხულობს და ვერ წერს, ის კი არა სახლ-კარსაც კი მოკლებულია. ყველაზე შემზარავი კი მაინც ის არის, რომ ყოველდღიურად იხოცებიან ბავშვები გამოფიტვით, სნეულებით, სიღუხჭირის გამო. და ეს ხდება მაშინ, როცა იწურება XX საუკუნე — ელექტრონიკისა და „მწვანე რევოლუციების", კოსმოსში ფრენისა და რამდენიმე მილიარდი ადამიანის დაპურების, ჩაცმა-დახურვის მართლაცდა განუსაზღვრელ შესაძლებლობათა საუკუნე. მაგრამ ეს შესაძლებლობანი მარტო ნაკლებად და ცუდად როი გამოიყენება. იმპერიალიზმი მათ ადამიანის წინააღმდეგ მიმართავს და ამტომ, მის მიერ თავსმოხვეული გამალებული შეიარაღების გამო, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ჯერჯერობით ერთობ ძვირად უჯდება ადამიანს. მატუელობს სხვაობა მცირერიცხოვან განვითარებულ სახელმწიფოებსა და აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ათობით ქვეყანას შორის. კატასტროფულ ოდენობას მიაღწია მთიმა ფინანსურმა დავალიანებამ, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა კაპიტალისტური „ჩრდილოეთის" ბანკებისა და კორპორაციების ეგოისტური, მარცლაკ რომ, მძარცველური საქმიანობის შედეგი.

ყოველივე ამის შედეგად არაექვივალენტური გაცვლით და მსოფლიოს ჩამორჩენილი ნაწილის ექსპლოატაციით წარმოშობილი საშიშროება მთელი კაცობრიობისათვის უკვე შეგვიძლია შეადაროთ საყოველთაო ბირთვულ და ეკოლოგიურ საფრთხეს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, განიარაღება განვითარებისათვის, ნდობა და თანამშრომლობა — აი „სამი ვეშაპი", რომლებზე დაყრდნობთაც შეიძლება მხოლოდ მომავლისაკენ სიარული. ალტერნატივა აღარ არის. **(ტაში).**

ეს სულ უფრო უკეთ ესმით ფართო მასებს, პოლიტიკურად გავლენიან სფეროებს. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იგი თანდათან გადაიქცევა აქტიურ პოზიციად, ორგანიზებულ მოქმედად გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, იმ კონკრეტული ინიციატივების მხარდასაჭერად, რომლებიც შესაძლებელს ხდის მოლაპარაკებას ომის საფრთხის შემცირების თაობაზე. მთავრობებისათვის მათი პასუხისმგებლობის შეხსენება გადაიქცევა იმათ მიმართ უნდობლობის დემონსტრაციად, ვინც თავს არიდებს პასუხისმგებლობას, ეისაც კვლავინდებურად არ სურს ანგარიში გაუწიოს რეალობებს.

სულ უფრო ძნელი ხდება „საბჭოთა საფრთხით" ხალხის დაშინება, მისი მეშვეობით გამალებული შეიარაღების და მოლაპარაკების გაჭიანურების გამართლება. მსოფლიოში არიან ძალები — თქვენ იცით რა ძალებს ვგულისხმობ, — რომლებსაც ასეთი ცვლილებები ხელს არ აძლევს.

და ეს ძალები უკვე მოქმედებენ, რათა გზა გადაუღობონ ნდობის პროცესს საერთაშორისო ურთიერთობაში.

ბოლო რამ წელიწადში საბჭოთა კავშირმა განიარაღების პრაქტიკულად ყველა საკითხზე წამოაყენა წინადადებები. ამის პასუხად ჩვენ ერთთავად გვეკმინ: კარგია, მაგრამ, დაე, საბჭოებმა საქმით დაამტკიცონო სიტყვები.

მე ასე ვიტყვი: რეალისტური პოლიტიკა მარტო ჩვენ არ გვჭირდება. იგი სჭირდება ყველა სახელმწიფოს, ყველა ხალხს, მათ შორის — ამერიკელ ხალხსაც. ეს პოლიტიკა კი გულისხმობს სულ ცოტა სერიოზულ დამოკიდებულებას მეორე მხარის წინადადებებისადმი — რამდენად კონსტრუქციულია ისინი, ითვალისწინებენ თუ არა პარტნიორის ინტერესებს, საზოგადოებრიობის აზრს, მეცნიერების დასკვნებს **(ტაში).** სამწუხაროდ, ჩვენი ინიციატივების პასუხად, ჩვეულებრივ, ან მეტსეულ უარს ვიღებთ, ანდა ძველი პოზიციების დოგმატურ დადასტურებას, მაშასადამე, აქ პოლიტიკაში რეალიზმის მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის. არადა, მსოფლიოს სწორედ რეალურ საქმეთა პოლიტიკა სჭირდება და კიდევ მოითხოვს მას.

მოდით პირუთვნელად განვსაჯოთ, როგორ შეეფარდება სიტყვა და საქმე აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობაში და ვნახოთ, რა სურათს მივიღებთ.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ახალი აზროვნებით ხელმძღვანელობს, თავის საგარეო პოლიტიკას ისე წარმართავს, რომ შეაჩეროს გამალებული შეიარაღება, აღკვეთოს ბირთვული საფრთხე და გააჯანსაღოს ვითარება. შეერთებული შტატები კი კვლავინდებურად იარაღის ძალისა და იმის იმედით არის, რომ გააფართოოს სამხედრო მეტოქეობის სფეროები. მათ შორის — კოსმოსშიც.

საბჭოთა კავშირი 18 თვეს იცავდა ბირთვული გამოცდების ცალმხრივ მორატორიუმს. ეს სიტყვა კი არა, საქმეა.. შეერთებულმა შტატებმაც საქმით გაგვიკეთა პასუხი — ნევადაში აფეთქებების გახშირებით.

საბჭოთა კავშირმა 1986 წლის 15 იანვარს წამოაყენა საუკუნის დამლევამდე ბირთვული და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის ეტაპობრივი ლიკვიდაციის პროგრამა. რა გვიპასუხეს? ის, რომ მშვიდობა ბირთვული იარაღის გარეშე საერთოდ შეუძლებელია, რომ ეს უტოპიაა, და კვლავ დადეს „ბირთვული შეკავების" დოქტრინის ეფექტიანობის ფიცი.

ჩვენ შევწყვეტეთ ქიმიური იარაღის წარმოება და ვაშენებთ მისი მოსპობისათვის განკუთვნილ ქარხანას. ეს სიტყვა კი არა, საქმეა. **(ტაში).**

რით გვიპასუხებს ნატო? — ბინარული იარაღის წარმოებისა და განლაგების გეგმებით.

სწორედ იმის წყალობით, რომ საბჭოთა კავშირმა საქმით დაამტკიცა: იგი მზად არის გაითვალისწინოს პარტნიორთა შეშფოთება, შესაძლებელი გახდა ნდობის ღონისძიებებისადმი მიძღვნილი სტოკჰოლმის კონფერენციის პოზიტიური შედეგი.

რეიკიავიკის შეხვედრას, რომლის გამართვის წინადადებაც ჩვენ წამოვაყენეთ, შეეძლო განიარაღების საკითხებში ისტორიული გარდატეხის ნიშნსგები გამხდარიყო. მაგრამ დრამატული დიალოგი მორიგებით ვერ დამთავრდა, გადამწყვეტი ნაბიჯი ვერ გადაიდგა, რადგან შეერთებული შტატებისათვის ეს ნაბიჯი იმას ნიშნავდა, რომ უარი ეთქვა „ვარსკვლავეთის ომების" მომზადებაზე, საბჭოთა კავშირთან შედარებით სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობის მიღწევის კურსზე. რამდენი ლაპარაკი იყო — და იგი გრძელდება — კონტროლის შესახებ. საბჭოთა კავშირმა საჯაროდ და მოლაპარაკების მაგიდასთანაც მხარი დაუჭირა კონტროლის უმკაცრეს ზომებს, მათ შორის საერთაშორისო ზომებსაც და ადგილებზე ინსპექციასაც. დასავლეთმა რაღა ქნა? ისევ სიტყვების კორიანტელი კონტროლის მნიშვნელობაზე. მაგრამ ამ სიტყვებს ახლა უკვე თან სდევს პირობები, რომელთა აზრია ამ კონტროლისაგან დაიცვან კერძო სამხედრო ბიზნესი და სხვათა ტერიტორიაზე განლაგებული ბაზები.

როცა საზოგადოებრიობამ, პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, მეცნიერებმა გვთხოვეს გამოგვეყო საშუალო სიშორის რაკეტები რეიკიავიკის „პაკეტიდან", ჩვენ საქმით ვუპასუხეთ ამ თხოვნას და გადავდგით ასეთი ნაბიჯი. უფრო მეტიც, დავთანხმდით მოგვესპო ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტებიც ევროპაში. მრავალი თვის გაჭიანურებისა და „მოგვარების" შემდეგ, ნატოელები თითქოს დადებით პასუხს იძლევიან. მაგრამ შემდგომი განმარტებები — როგორც განცხადებებში, ისე დიპლომატიური არხებით გამოთქმული — გვაშფოთებს. ისევ, როგორც უკვე არაერთხელ მიმხდარა, ვხედავთ ცდებს, „ეკან დაიხიონ ამისაგან, რაც მოსკოვმა და ვაშინგტონმა დათქვეს პოლიტიკურ დონეზე. ჩვენგან კვლავ ისეთ რამეს მოითხოვენ, რაც ეწინააღმდეგება თანაბარი უშიშროების პრინციპს. იმ გაბოუსწორებელი მილიტარისტების მიმართ თაყვანისცემა, რომლებსაც არ სურთ შეურიგდნენ ბირთვული განიარღების შესახებ პირველი შეთანხმების დადების შესაძლებლობას, მოწმობს, რომ ამერიკის ადმინისტრაცია დიდად არის დამოკიდებული მილიტარისტულ ჯგუფებზე.

ივნისში ერთი წელი შეუსრულდება ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ბუდაპეშტის ინიციატივას. მათ ნატოს შესთავაზეს ატლანტიკიდან ურალამდე ჩვეულებრივი იარაღისა და შეიარაღებული ძალების საკითხებში გარკვევა, მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა და მორიგება იმის თაობაზე, რომ ერთიც და მეორეც მეოთხედით შემცირდეს 90-იანი წლების დამდეგს, და კიდევ უფრო მეტად — მერე. პასუხად ნატოს ქვეყნებში ალაპარაკდნენ, რომ მეტი ფული უნდა დაანბანდონ ჩვეულებრივი იარაღის წარმოებასა და სრულყოფაში.

ერთი თვის წინ ბერლინში პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეებმა მკაფიოდ ჩამოაყალიბეს თავიანთი სამხედრო დოქტრინა, რომლის ამოცანაა ომის — როგორც ბირთვული, ისე ჩვეულებრივის — დაუშვებლობა; ეს ამოცანა ორიენტირად ისახავს იარაღისა და შეიარაღებული ძალების მეცულობისა და ხასიათის გონივრულ საკმარისობას და მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის მიზნებისათვის არის განკუთვნილი. მათ ნატოს შესთავაზეს ორივე ბლოკის დოქტრინების მაღალ დონეზე განხილვა და შეჯერება და მოლაპარაკება იმაზე, რომ საერთოდ გამორიცხოს ერთმანეთზე თავდასხმის სამხედრო-ტექნიკური შესაძლებლობა. გარკვეული პასუხი არ მიგვიღია. ხოლო სპეკულაციები ჩვეულებრივი იარაღის მხრივ საბჭოთა კავშირის ვითომდა უპირატესობის შესახებ, გაძლეიერდა.

გუშინწინ საარჩევნო უბანში ჟურნალისტებთან საუბრის დროს ვთქვი, რომ სსრ კავშირი კვლავაც გადადგამს რეალურ ნაბიჯებს, ოღონდ გამოინახოს გამოსავალი განიარაღების საქმეში. მაგრამ ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც უნდა გაინძრნენ და მარტო იმით არ იყვნენ გართულნი, თუ რა ახალ-ახალი მოუხოვნები წამოგვიყენონ, სანამ მოთმინების ფიალა არ აგვევსება. **(ტაში).**

ასეთია სიტუაცია, ასეთია სიტყვები და საქმეები. მე უნდა მეთქვა ეს თქვენთვის, რადგან მშვიდობის მომხრეთა ყოველგვარი მოძრაობა ჩვენს დრომდა თავს ვერ აარიდებს ომის საშიშროების „კონკრეტიკას" ყოველ მოცემულ მომენტში. სხვათა შორის, სწორედ ამიტომ არის, რომ ომისა და მშვიდობის სასწორზე ახლა ასეთი დიდი წონა შეიძინეს პროფესიულმა ორგანიზაციებმა — მეცნიერების, ექიმების, ყოფილი სამხედროების ორგანიზაციებმა. კომპეტენტურობამ მათ შესაძლებლობა მიცა ძალთა ახლანდელი განაწილების უაღრესად ანგარიშგასაწევ ფაქტორად გადაქცეულიყვნენ.

შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო პოლიტიკაც გადის გამოცდას გარდაქმნით. ამ გარდაქმნას, ისევე, როგორც ჩვენსას, ბევრი ქომაგი და გულშრფელი მომხრე ჰყავს, მან ბევრი ჩაიფიქრა სერიოზულად.

ძვირფასო მეგობრებო! თქვენი კონგრესის მონაწილეთა უპირველესად ოფიციალური ინიციატივა. ჩვენ ეს ინიციატივა ეროვნული ინტერესებიდან ვიღებთ. ეროვნული ინტერესებიდან ვიღებ ინიციატივას ეროვნული ინტერესებიდან ვიღებ ინიციატივას ეროვნული ინტერესებიდან ვიღებ ინიციატივას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ამოწმებენ პარტიული კომიტეტების მუშაობას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ისმენენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივანთა ანგარიშებს იმის შესახებ, თუ როგორ გარდაქმნიან მუშაობას პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

ანგარიშების წინ ტერიტორიული ჯგუფები, რომლებშიც შედიან ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა შესაბამისი რეგიონების კურატორი პასუხისმგებელი მუშაკები, ადგილებზე სწავლობენ საქმის ვითარებას. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების მოხსენებანი, ტერიტორიული ჯგუფების ხელმძღვანელთა თანამოხსენებანი, მათი წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებანი განხილვას ანიჭებენ ნამდვილად საქმიან, კონსტრუქციულ ხასიათს, შესაძლებლობას იძლევიან კომპეტენტურად განანალიზდეს პარტიული კომიტეტების გარდაქმნისათვის მუშაობის მიმდინარეობა, განისაზღვროს საშეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებანი.

მწვავე, მომყოლელი სჯა-ბაასი გაიმართა პარტიის მარნეულისა და მაიაკოვსკის რაიკომების ანგარიშების განხილვის დროს. განხილვამ გამოავლინა ბევრი სერიოზული პრობლემა და ხარვეზი მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნისათვის ორივე პარტიული კომიტეტის საქმიანობაში და დასახა არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევის, შრომითის კოლექტივებში საქმის ვითარებაზე პარტიული გავლენის გაძლიერების, რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების გზები.

როგორც პარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივნის ქ. მამედოვის ანგარიშმა ცხადყო, უკანასკნელ ხანს რაიონში მიღწეული ზოგიერთი პოზიტიური ძვრა სრულიადაც არ შეესაბამება არსებულ შესაძლებლობებსა და იმ მასშტაბურ ამოცანებს, რომლებიც დგას რაიონის — რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი სასოფლო-სამეურნეო რეგიონის, ქალაქების თბილისისა და რუსთავისთვის ახალი ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა სასურსათო პროდუქტების ძირითადი მიმწოდებლის წინაშე. გარდაქმნა პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის საქმიანობაში, პირველად რგოლებში ნელა, საჭირო დინამიზმისა და აქტიურობის გარეშე მიმდინარეობს.

განხილვის მონაწილეებმა ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი: სწორედ ამით აიხსნება მნიშვნელოვანწილად ის, რომ სერიოზული ხარვეზებია სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, ჩავარდნებია კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებაში, არ იგრძნობა რეალური ძვრები მოსახლეობის მომსახურებაში. მაგალითად, სოფლის მეურნეობამ 1986 წელს მიღონი ხუთი მილიონი მანეთი მოგება. მაგრამ 35 საბჭოთა მეურნეობიდან 26-მა მიიღო ცხრა მილიონი მანეთის დანამატი, და ეს იმ პირობებში, როცა მეურნეობებს ნაყოფიერი, სარწყავი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები აქვთ. სახელმწიფო დოტაციის მიუხედავად, ოთხმა საბჭოთა მეურნეობამ შარშანდელი წელი ზარალით დაამთავრა, დანამატების გაუთვალისწინებლად კი ზარალიანია 17 მეურნეობა. ბოსტნეულის დამზადებისა და მისი ასორტიმენტის საგეგმო დავალებანი ვერ შესრულდა. განსაკუთრებით არახელსაყრელი ვითარება შეიქმნა მეცხოველეობაში. ეს და სხვა პრობლემები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, პარტიული კომიტეტების მდივნებს შორის ხშირად ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც სუსტად ერკვევიან საკუთარ მეურნეობათა ეკონომიკაში. ამიტომ რა გასაკვირია, რომ მეურნეობათა რიგითი წევრებიც ხშირად ვერ გარკვეულან სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსების, თვითთანაზღაურების, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების სხვა პროგრესული ფორმების ელემენტარულ პრინციპებში.

აღინიშნეს რა სერიოზული ნაკლოვანებანი პარტიის რაიკომის, პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობაში, განხილვის მონაწილეებმა ყურადღება დაუთმეს იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა სოფლელთა პირად საკარმიდამო მეურნეობებში 4-5-ჯერ აღემატება. საზოგადოებრივ მეურნეობათა მაჩვენებლებს. მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებს საქონლის გაყიდვის ზრდას, რომლის წარმოების დავალება, ისე როგორც საქონელბრუნვის გეგმაც, ზარშან ჩაიშალა. წლითიწლობით არ ფართოვდება მოსახლეობისათვის გაწეული ფასიან მომსახურებათა არე. ნელა ჩადგება მუშაობა ამ მიზნით მოქალაქეთა კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სხვადასხვა ფორმის გამოყენებისათვის.

აღინიშნა, რომ პარტიის რაიკომი და რაიონული საბჭოს აღმასკომი სათანადო სიმტკიცეს არ იჩენენ იმისათვის, რომ განხორციელდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მარნეულის რაიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ". ცუდად იყენებენ ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების გაფართოების შესაძლებლობებს. გაუმჯობესებას საჭიროებს ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლებისა და კულტურის დაწესებულებათა მუშაობა. თავს იჩენს იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შეუფასებლობა. მეორე პლანზეა გადაწეული მუშაობა ადამიანებთან, ზრუნვა მათი სოციალურ-კულტურული პრობლემების გადაწყვეტისათვის. არ არის თანამიმდევრულობა მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ათეისტურ აღზრდაში.

განხილვის დროს სერიოზული ხარვეზები გამოვლინდა უშრომელ შემოსავალთან, ლოთობასთან და ნარკომანიასთან, სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის ორგანიზაციაში. აღინიშნა, რომ საკონტროლო და სამართალდაცვითი ორგანოები ფორმალურად ეკიდებიან სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას. სოსტია არრეკვითი ორგანოების წევრთა და დეპუტატთა აქტიურობა დემოკრატიული საწყისების გაღრმავებაში. პარტიის რაიკომი, რაიაღმასკომი, ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან მუშაობის ძველი მეთოდებისაგან, ზედმეტი ორგანიზებულობისაგან. კერძოდ, პლენუმებზე, სესიებზე, სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში აბამენ მუშაკთა ვიწრო წრეს. წესად არ გადაუქცევიათ ის, რომ მშრომელებს წინასწარ გააცნონ მისაღები გადაწყვეტილებები, აგრეთვე თანამდებობის პირთა ანგარიშები. გაუმჯობესებას საჭიროებს კადრების რეზერვთან მუშაობა, საკარიოს უზრუნველყოფა მათ შერჩევასა და დაწინაურებაში.

აღინიშნეს რა სერიოზული ნაკლოვანებანი პარტიის მარნეულის რაიკომის მუშაობაში, განხილვის მონაწილეებმა წინადადება მისცეს მის მეიმუშაოს და განახორციელოს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი, უზრუნველყოს ზუსტი პოლიტიკური ხელმძღვანელობა რაიონის ცხოვრების ყველა სფეროში გარდაქმნისა და განახლების პროცესისადმი. მიზანშეწონილად მიიჩნიეს წლის დამლევისათვის კომპეტენტურად შეისწავლონ რაიკომის მიერ ამ მხრივ გაწეული მუშაობა.

ილაპარაკა რა იმაზე, რომ უკანასკნელ ხანს მაიაკოვსკის რაიონში სტაბილურად სრულდება გეგმები, დავალებები და სოციალისტური ვალდებულებანი, ამასთან პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ნოზაძემ მთელი ყურადღება მიაპყრო გადასაწყვეტ პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლიან გარდაქმნის პროცესის დაჩქარებას. მისი ანგარიშის განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რაიკომის ხარვეზებს საკადრო პოლიტიკაში. ძირითად ხარვეზად ის მიიჩნიეს, რომ პირველადი პარტორგანიზაციების უმრავლესობას ჯერჯერობით არ განუსაზღვრავს მთავარი პრობლემები, რომლებიც აფერხებენ გარდაქმნას, და არ შეუმუშავებია ადგილებზე საქმის ვითარების გაუმჯობესების პროგრამა. მაგალითად, რაიონის არც ერთ საწარმოში არ ეწევიან სათანადო მუშაობას მეურნეობრიობის ისეთ პროგრესულ ფორმებზე გადასასვლელად, როგორიცაა სამეურნო ანგარიში, თვითდაფინანსება და თვითთანაზღაურება. პირველადი პარტორგანიზაციები საკმარისად არ ზრუნავენ საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე, საბოლოო შედეგებისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე. სუსტად იყენებენ ისინი ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებასაც.

მომთხოვნელი სჯა-ბაასი გაიმართა იმის შესახებ, რომ ბევრ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას აკლია მებრძოლურობა, მომთხოვნელობა, თანამიმდევრულობა დემოკრატიის გაღრმავებისათვის, საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაფართოებისათვის მუშაობაში. აღინიშნა, რომ პარტიის რაიკომი საკმარისად არ აკითხავს მათ უნარსა და შესაძლებლობებს გარდაქმნაში ჩააბან შრომითი კოლექტივები. ამავე დროს ითქვა, რომ ბევრი პრობლემაა თავად რაიკომშიც, განსაკუთრებით კადრების შერჩევისა და განაწილების მხრივ. აქ ბოლო დროის მანძილზე განახორციელეს ინსტრუქტორთა შემადგენლობის განმტკიცების ღონისძიებანი, მაგრამ ბევრი პარტიული მუშაკის კომპეტენტურობის დონე ჯერ კიდევ ამაღლებას საჭიროებს. საქმე ის არის, რომ მათ უმრავლესობას არა აქვს პარტიული მუშაობის საკმარისი გამოცდილება.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი ჯერ კიდევ ვერ გახდა ის ორგანო, რომელიც უნდა მართავდეს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესს. როგორც ფაქტები მოწმობს, მის აპარატში არ შექმნილა ისეთი ატმოსფერო, რომ მომთხოვნელად ეკიდებოდნენ და კრიტიკულად აფასებდნენ როგორც თავიანთ, ისე შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელთა საქმიანობას საბოლოო შედეგების მიხედვით. მაგალითად, მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის დროს დადგინდა, რომ მშრომელებს სერიოზული პრეტენზიები აქვთ რაიონის იდმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებისადმი. მაგრამ ამ საკითხებს ყოველთვის როდი აძლევენ შესაბამის პრინციპულ შეფასებას. ხარვეზები ახასიათებს კერძომესაკუთრულ ტენდენციებთან, სხვა ნეგატიურ გამოვლინებებთან ბრძოლასაც, რაზეც არაერთხელ მიაპყრეს რაიონის ხელმძღვანელობის ყურადღება. მართალია, პარტიის რაიკომი გამოეხმაურა კრიტიკას, თანამდებობიდან გათავისუფლა და პარტიული სასჯელი დაადო მთელ რიგ ხელმძღვანელ მუშაკებს, მაგრამ, როგორც პრაქტიკა მოწმობს, ასეთ ღონისძიებებს ყოველთვის როდი მოაქვს სასურველი შედეგები, რადგან ისინი უკვე მომხდარი ფაქტების შემდეგ ხორციელდება.

სერიოზული საყვედური გამოითქვა რაიკომის პირველი მდივნის მიმართაც. აღინიშნა, რომ თუმცა მას აქვს ორგანიზატორული უნარი, მაგრამ ამავე დროს, ყოველთვის არ ახალისებს ხელქვეითთა ინიციატივას, და ამიტომ არ არის კრიტიკა ქვემოდან, ხოლო აპარატის, მათ შორის რაიკომის მდივანთა სუსტი ინიციატივა ისეთ საკითხებში, როგორიცაა მეურნეობრიობის ახალი ფორმების დანერგვა, ნეგატიური მოვლენების დაძლევა, ყოველთვის როდი იღებს სათანადო შეფასებას.

განხილვის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიის გაღრმავებას, კოლეტივურობის, საჯაროობის დამკვიდრებას, გამოთქვეს კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია პარტიის რაიკომის მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა. სჯა-ბაასი გაიმართა იმის შესახებ, რომ თითოეული მინდობილ უბანზე პატრონსხად უნდა მუშაობდეს და კეთილფიციერად აკეთებდეს თავის საქმეს, აღწევდეს საუკეთესო საბოლოო შედეგებს. გარდაქმნა ვერ ურიგდება გულგრილობას და ინერტულობას. იმისათვის, რომ წარმატებით განეახორციელოთ მისი პრინციპები, უნდა გამოვიჩინოთ მეტი სიმტკიცე და მიზანდასახულობა, გამოვამეცნოთ ახალი მიდგომა ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მართვაში, ორგანიზაციულ-პარტიულ და იდეოლოგიურ მუშაობაში.

პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით მუშაობის გარდაქმნის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში უკვე ჩაბარეს პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჩუბინიშვილმა, პარტიის ადიგენის, წულუკიძის, სამტრედიისა და საჩხერის რაიკომების პირველმა მდივნებმა ჯ. ნაკაშიძემ, კ. კინწურაშვილმა, თ. იმედაძემ და ე. ბერიძემ.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ანგარიშების მოსმენა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გრძელდება. (საქინფორმი).

საქართველოს ფონდი

საქართველოს კულტურის ფონდის ხელმძღვანელობამ განიხილა მოსკოვიდან, კულტურის საბჭოთა ფონდის ცენტრალური გამგეობიდან მიღებული საინფორმაციო წერილი „კულტურის საბჭოთა ფონდის პრაქტიკული მოღვაწეობის შესახებ" და ამ წერილის საფუძველზე საქართველოს საზოგადოებრიობას ამცნობს შემდეგს:

1. სახსრები

კულტურის საკავშირო ფონდში დღეისათვის მოგროვდა 11 მილიონ 400 ათასი მანეთი. აქედან სსრკ მწერალთა კავშირმა გადარიცხა 5 მილიონი მანეთი, მხატვართა კავშირმა — მილიონ 700 ათასი, კინემატოგრაფისტთა კავშირმა — მილიონი, საკავშირო პროფსაბჭომ — 3 მილიონი, საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა — 500 ათასი, კომპოზიტორთა კავშირმა — 200 ათასი მანეთი და ა. შ.

თავისი წვლილი შეიტანეს შრომითმა კოლექტივებმა, მაგალითად, „საკმაზენაპროექტის" ინსტიტუტმა, მოსკოვის № 223 სამშენებლო სამმართველომ, ვოლოგდის ქ. სოკოლის „სასწრაფო დახმარების" მუშაკებმა და მრავალმა სხვამ.

კონკრეტულ მატერიალურ დახმარებას უწევენ ფონდს პარტიული და საბჭოთა მუშაკები, კულტურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწენი. მწერალმა გ. მარკოვმა გადარიცხა 6000 მანეთი, ბოროდინის სახელობის კვარტეტმა და იაკუტიის თეატრის შემოქმედებითმა მუშაკებმა 1986 წლის სახელმწიფო პრემია — ხუთ-ხუთი ათასი მანეთი. მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო პრემიები დაჯილდოვდნენ: დიდი თეატრის დირიჟორმა ს. ბობკოვმა — 500 მანეთი, უკრაინელმა მხატვარმა ფ. ზახაროვმა — 2500 მანეთი, სახსრები გადარიცხეს ახალი ამბების საააგენტოს თავმჯდომარემ ვ. ფალინმა, დრამატურგმა ა. ხაიტმა, პარტიის კემერეროს საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ბაკატინმა და მრავალმა სხვამ.

რაოდენობით მცირე, მაგრამ საერთო ანგარიშით სოლიდური სახსრები შეაგროვეს და ფონდში შეიტანა ათასობით პიონერმა და მოსწავლემ, სტუდენტმა და ახალგაზრდა მუშამ. ბევრი რიგითი საბჭოთა ადამიანი რიცხავს ფონდში ფულად სახსრებს, ზოგჯერ დიდ თანხებსაც. მაგალითად, ლაბინსკელმა ბასმანოვმა გადარიცხა 6305 მანეთი, სოკელმა მეშენრიაკოვამ 1100 მანეთი, ზაპოროჟიელმა მიხალევმა ზაპოროჟიეს ოლქიდან — 500 მანეთი, იაკუტიელმა ლიზოგუბმა 500 მანეთი, მოსკოველმა ხახინამ 500 მანეთი და ა. შ.

აღსანიშნავია რელიგიური წრეების ინტერესი კულტურის ფონდისადმი: ქ. ბაკოს სომხურმა ეკლესიამ გადარიცხა 1700 მანეთი, ქ. კოკანდის მეჩეთმა — 1000 მანეთი, სტავროპოლის ეპარქიულმა სასწავლებელმა — 700 მანეთი, 500-500 მანეთი შეიტანა ქ. სამარყანდის რელიგიური საზოგადოებიდან და ქ. სლავიანსკის მიძინების ეკლესიიდან.

დაიწყო საკავშირო ფონდისათვის კოლექციების, ბიბლიოთეკების, ხელოვნების ნაწარმოებთა გადაცემის პროცესი. აკადემიკოსმა ლ. ილიჩოვმა ფონდის საშუალებით კრასნოდარის მხარის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 2000 ტომზე მეტი წიგნი, სერგი ლაზოს ქალიშვილმა ფონდს აჩუქა ძველი მინის ნაკეთობების ძვირფასი კოლექცია.

დიდ ინტერესს იჩენენ ფონდისადმი უცხოელი მოქალაქენი და უცხოეთში მცხოვრები პროგრესულად განწყობილი თანამემამულენი. მაგალითად, არმანდ ჰამერმა ფონდს აჩუქა 100.000 დოლარი და ცნობილი რუსი მხატვრების სურათები. დიდი ბრიტანეთის მოქალაქემ ოლივ ვეინმარ-ჰომერმა — 15000 შვეიცარიული ფრანკი. ფულადი სახსრები გადარიცხეს ნ. ნებოლსინმა (აშშ), ი. ნოვიკოვმა (კანადა), აზიზულამ (ინდოეთი), კოლექციონერმა საფრანგეთიდან ა. პოლონსკიმ ფონდს აჩუქა ნ. გოგოლის წერილის ავტოგრაფი და ი. რეპინის სურათის ესკიზი.

საქართველოს კულტურის ფონდმა იმსჯელა შექმნილ გითარებაზე და აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში, სამწუხაროდ, ჯერ არ დაწყებულა ზემოაღნიშნული ანალოგიური მოძრაობა, რომ საქართველოს კულტურის ფონდის ანგარიშზე დღეისათვის თანხა გადარიცხა მხოლოდ და მხოლოდ ორმა სამინისტრომ — 5.000 და 2.000 მანეთი.

2. მომავალი მოღვაწეობის საფუძველი

საინფორმაციო წერილში აღნიშნულია, რომ მომავალში კულტურის ფონდის მოღვაწეობის საფუძველი უნდა გახდეს თვითდაფინანსება. ამისათვის საჭიროა ფართო საწარმოო ბაზის შექმნა.

საკავშირო ფონდი მოკავშირე რესპუბლიკების ფონდის ხელმძღვანელობას უსახავს ამოცანას, რომ ენერგიულად იზრუნონ მტკიცე საწარმოო ბაზის შესაქმნელად, მიმართონ რესპუბლიკის მთავრობას დახმარებათა ფულადი, ხელშეწყობისა და მხარდაჭერისათვის, შექმნან სხვადასხვა სახის წარმოებები, კომბინატები, აწარმონ კულტურის ფონდის წესებით განსაზღვრული საქონელი, შექმნან სალონ-მაღაზიების ქსელი, მოაწყონ გაყიდვა-აუქციონები, აღორძინონ და მტკიცე ეკონომიკურ საფუძველზე დაამყარონ ხალხური-ხელოსნური შემოქმედება, გამოავლინონ და დასაქმონ ოსტატები, გამოიყენონ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის კანონით დაშვებული ფორმები და შესაძლებლობანი, გამონახონ შემოსავლის სხვა წყაროები კულტურის ფონდის მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე.

ამ საკითხების მოსაგვარებლად საქართველოს კულტურის ფონდი აქტიურ მოღვაწეობას ეწევა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჯერ არსებითად არაფერი პრაქტიკულად მიღწეული ზოგიერთი უწყების ტრადიციული კონსერვატიზმისა და სხვათა ბიუროკრატიული შეფერხებების გამო. დაისვა კითხვა და ამ კითხვით მივმართავთ სათანადო უწყებებს: როდემდე გაგრძელდება ასე?

3. პროპაგანდისტულ-განმარტებითი მუშაობა

საინფორმაციო წერილში აღნიშნულია, რომ გარდა ზოგიერთი ცენტრალური გაზეთისა, ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია, განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკებში, ჯერჯერობით ვერ უთმობენ სათანადო ყურადღებას კულტურის ფონდის საქმიანობას. მეტად მცირეა განმარტებითი ხასიათის წერილები და გადაცემები, ხალხის ფართო მასებმა ჯერ, სამწუხაროდ, არც კი იცან, რა დიდ ეროვნულ ამოცანებს ისახავს კულტურის ფონდი, რა საქმეს ემსახურება და როგორია მისი მოღვაწეობის ხასიათი.

ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

4. საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ჯგუფებს

კულტურის საბჭოთა ფონდის წესდებისა და განყოფილებათა დებულების თანახმად, რესპუბლიკის ყველა ქალაქში, რაიონში, დაბასა თუ სოფელში საზოგადოებრივ საწყისებზე უნდა გამოყონ ფონდის რწმუნებულები, ხოლო რაიაღმასკომებთან, სადაბო და სასოფლო საბჭოებთან უნდა შეიქმნას კულტურის ფონდის ხელშეშწყობი ჯგუფები.

ბუნებრივია, თბილისიდან ფონდის აპარატის სიმცირისა და სხვა გასაგები დაბრკოლებების გამო, ჩვენ არ შეგვიძლია კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ ამ არცთუ ადვილ საქმეს. ამიტომ დახმარებას ვთხოვთ რაიკომებსა და რაიაღმასკომებს: შეარჩიონ ფონდის რწმუნებული რაიონის ინტელიგენციიდან, ადამიანი, რომელიც რაიონში ცნობილი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით, უანგარობით, დაუზარებლობით და წარმოადგენონ დასამტკიცებლად. ამგვარადვე უნდა შეიქმნას დამხმარე ჯგუფები. ყველა მათგანს ჩვენ გავუწევთ ინსტრუქტაჟს, რა და როგორ უნდა გააკეთონ, ხოლო მათი მორალური და მატერიალური წახალისებისათვის საქართველოს კულტურის ფონდი სხვადასხვა საშუალებას გამონახავს.

• • •

საქართველოს კულტურის ფონდს მოსკოვიდან აცნობეს, რომ ივლისის დამდეგს მოწვეულია საკავშირო ფონდის გამგეობის პლენუმი, სადაც ჩვენი რესპუბლიკა ანგარიშით უნდა წარდგეს. მცირე, სულ მცირე დროა დარჩა, რაც შესაძლებელია, უნდა მოვასწროთ, რათა რესპუბლიკის ღირსების შეურცხვენლად წარვდგეთ ამ პასუხსაგები საკრებულოს წინაშე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელზეც განხილულ აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური საკითხები.

ქალაქ თბილისის ატმოსფეროსა და წყალსატაკებში მავნე გამონაფრქვევების რადიკალურ შემცირების მიზნით მიღებულია გადაწყვეტილება 1987-1990 წლებში ქალაქის ფარგლებს გარეთ გაიტანონ მთელი რიგი სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, მომარაგება-გასაღების საწარმოები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც აპუძყიანებენ ჰაერის აუბნა და წყალსატევებს, მათ შორის პლასტმასის ნაწარმის ქარხანა, გაერთიანება „თბილისქალაქმშენის" გაჯისა და ლითონნადამუშავებელი, №1 რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნები, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოკოლონები, მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატი და სხვა საწარმოები.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც ეძვემდებარებიან აღნიშნული საწარმოები და ორგანიზაციები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს დაეცალათ უზრუნველყონ ქალაქის ფარგლებს გარეთ მათი დროული გატანა და სპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა მაცური კონტროლი დაუწესოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიურ გეგმებში ქალაქის ფარგლებს გარეთ საწარმოთა გასატანი ობიექტების შენებლობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ქალაქ სოხუმის განვითარების გენერალური გეგმა 2010 წლამდე. ქალაქში, სადაც ძირითადი მოსახლეობა 150 ათასი კაცია, ერთ სულ მოსახლეზე საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ნორმა შეადგენს 18 კვადრატულ მეტრს. გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო ტერიტორიათა მნიშვნელოვან შემცირებას ქალაქის ფარგლებს გარეთ საწარმოთა გატანის გზით. სანაპირო ნაწილში კიდევ უფრო განვითარდება საკურორტო-გამაჯანსაღებელი და ტურისტული კომპლექსები, აგრეთვე კომპლექსები, რომლებიც შეიქმნება მდინარე ბესლეთის ხეობაში მინერალური წყაროების ბაზაზე. გათვალისწინებულია ქალაქ სოხუმის ასაქცევი გზის შენებლობა, სოხუმის საზღვაო ნავსადგურის რეკონსტრუქცია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მწვანე შენებლობას.

განიხილეს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების გაფართოებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მანქანათმშენებლობის დარგის საწარმოთა მუშაობის საკითხი. აღინიშნა, რომ გარკვეული მუშაობა ამ მიმართულებით შესრულებულია. მარტო მიმდინარე წელს დარგის 37 საწარმოსა და გაერთიანებაში დამზადდება 212.100 ათასი მანეთის 260-ზე მეტი დასახელების კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი. ამავე დროს გარდაქმნა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობის ზრდის უზრუნველყოფისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის ცალკეულ საწარმოთა საქმიანობაში ნელა ხორციელდება. მიმდინარე წლის 4 თვეში ამ საქონლის წარმოების გეგმა შესრულდა 98,9 პროცენტით. დავალებას თავი ვერ გაართვა 11 საწარმომ. სტაბილურ მუშაობას ვერ მიაღწიეს გაერთიანებებმა „ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ", „საქელექტრომანქანამ", თბილისის ფოლად-თუჯსამსმელო ქარხანამ, ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანამ". დაბალი წარმოების საერთო მოცულობაში სახალხო მოხმარების საქონლის ხვედრითი წილი. მთლიანად არ გამოიყენება დარგის ტექნიკური და საწარმოო პოტენციალი ხარისხოვან საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის. ამ თვალსაზრისით საკმარისი არ არის საწარმოო გაერთიანებების „ელმაგალმშენებლის", „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის", „ქუთაისის მცირე გაბარიტის სატრაქტორო ქარხნის, ფოთის „ელექტროაპარატის" ქარხნისა და სხვა საწარმოთა მუშაობა. მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა მათ დაავალა გაუმჯობესონ საქმიანობა, რათა კიდევ უფრო ავითარებდნენ ტექნიკურ ბაზას, სისტემატურად ავლენდნენ რეზერვებს, სრულყოფდნენ წარმოების ნომენკლატურას.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახსტანდარტს საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ გეგმების შემუშავებას საფუძველად უდებენენ დავალებათა უთუო შესრულების საჭიროებას, ყოველწლიურად ყოველმხრივ აანალიზებდნენ სახალხო მოხმარების საქონლის ტექნიკური დონისა და ხარისხის დგომარეობას, შეიმუშაონ მათი გაუმჯობესების წინადადებები; ვაჭრობის სამინისტროს დაევალა უეჭი განსაზღვროს მათზე რეალური მოთხოვნილება, გაზრდოს აქტიურობა დარგის საწარმოებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებაში.

მიღებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომ ყოველწლიურად, 1987 წლიდან დაწყებული, მოეწყოს ფულისა და ნივთების ახალგაზრდული ლატარია 3125 ათასი მანეთის ოდენობით. დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ლატარია იმართება შრომაში თავგამოჩენილი ახალგაზრდობის, ახალგაზრდა მრავალშვილიანი ოჯახებისა და ახალდაქორწინებულთა სახნაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების, მათი შრომითი და შემოქმედებითი აქტიურობის გაზრდის, ახალგაზრდულ კომპლექსებისა და კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შემდგომი განვითარების მიზნით.

მიღებულია აგრეთვე დადგენილება „საავტომობილო ტრანსპორტის უავარიო მუშაობისა და ტექნიკური საიმედოობისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმზე განიხილეს სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის სხვა საკითხებიც.

მთავარი თემაა განახლება

საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის ღრმა განახლება დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მთავარი თემაა. ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში, სხვა გამოცემებში გამოქვეყნებული მასალები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალურ პრობლემებზე შეტანილია კრებულ „დაჩქარების" მეოთხე ნაკვეთში, რომელიც ახლახან გამოვიდა.

მის პუბლიკაციებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პარტიულ ორგანიზაციებში, ეკონომიკასა და ყოფაში მიმდინარე გარდაქმნის გამოცდილების ყოველმხრივ გაშუქებას. პუბლიკაციების თემატიკურ მიზანმიმართულებაში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ სფეროს, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას. ქვეყნდება ჟურეალ მოძმე სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის გამოცდილების ამსახველი მასალები.

წიგნი გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „პრავდამ".

(საკდესი.

დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე

„საქსანტექმონტაჟის" რუსთავის სამმართველოს ოცი ყველაზე გამოცდილი მუშა გაემგზავრა ტიუმენში თავისი ამხანაგების დასახმარებლად, რომლებიც აი უკვე ერთი წელია შრომობენ „საქტიუმენმშენის" შემადგენლობაში ბინების მშენებლობაზე.

— სულ ცოტა დრო დარჩა წლის პირველი ნახევრის დამთავრებამდე, — თქვა „საქსანტექმონტაჟის" რუსთავის სამმართველოს უფროსმა ნ. ცეროაძემ, — და საჭიროა დავაჩქაროთ სანტექნიკის მონტაჟის ტემპი შორეულ მხარეში მშენებარე საცხოვრებელ კომპლექსებში.

ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში ტუსთაველმა ახალგაზრდებმა მუშაობის სწრაფი ტემპი აიღეს. კარგი ხარისხით ჩაბარეს ოთხი ბლოკი საცხოვრებელ სახლში. ასე რომ, 180 ოჯახმა იზიიმა ახალმოსახლეობა.

ავნინის დამლევამდე რუსთაველთა მემონტაჟეებმა უნდა დაამთავრონ მუშაობა კიდევ სამ კორპუსში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალმოსახლეობას იზიიმებს ციმბირის ქალაქის კიდევ 122 ოჯახი.

მუშებთან ერთად ტიუმენში გაფრინდა ახალგაზრდა კომუნისტი, „საქსანტექმონტაჟის" რუსთავის სამმართველოს ტიუმენის უბნის უფროსი ზურაბ ტატვინიძე, რომელმაც სამი

ᲣᲙᲘᲡᲝᲥᲝᲗᲨᲘ

ფაქტები • მოვლენები

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲗᲐ ᲨᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. 23 ივნისი. ქართული და საბჭოთა მუსიკის კლასიკოსის ზაქარია ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერით“ დაიწყო დღეს ერევანში თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გამოსვლები. მომმე რესპუბლიკის წარმომზადებლებმა ჩამოიტანეს საბჭოთა და საზღვარგარეთული კლასიკის ათი ნაწარმოები. მათ შორის მოკარტის ოპერა „დონ-ჟუანი“, ამერიკელი კომპოზიტორის გერშვინის მუსიკის მიხედვით შექმნილი ბალეტი „პორგი და ბესი“, ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“, მოცარტის, ვივალდისა და პროკოფიევის მუსიკაზე დადგმული ერთმოქმედებიანი ბალეტები. გასტროლების დროს მოეწყობა ურთიერთ ქართველი მსახიობების შემოქმედებითი შეხვედრები სომეხ კოლეგებთან და ხელოვნების მოყვარულებთან. (საკრებული).

გაიმართა საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა შეკრება, რომელიც მიეძღვნა ახალ სახალხო მსაჯულთა სწავლებას. სახალხო მსაჯულების უფლება-მოვალეობათა შესახებ მათ ესაუბრა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. კვინერია. მან უპასუხა ადრეთვე მრავალ კითხვაზე. შეკრების მონაწილეებმა აირჩიეს სახალხო მსაჯულთა სამეფო, შექმნეს სექციები და განსაზღვრეს მათი ფუნქციები მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების უზრუნველყოფის საქმეში.

▼▼

პიონერული ზაფხული ზუგდიდის რაიონის ბავშვებს დაეწყოთ ნორჩთა ახალ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ქალაქში, რომელიც სოფელ მკადუაშში გაიხსნა. პიონერულ ქალაქში სამ ნაკადად ათასზე მეტი ბავშვი გაისვენებს. მათ განკარგულებაშია 4 საძინე კორპუსი, სასადილო, პოლიკლინიკა, კულტურის სახლი, პიონერული ოთახები, სპორტული დარბაზები და ოთახები, სახაფხულო საესტრადო თეატრი. ეროთა განმავლობაში ქალაქი ბავშვთა სამეცნიერო-ტექნიკური და პიონერული მუშაობის ცენტრი გახდება. აქ მაღე ამოქმედდება კომპიუტერული სწავლების სკოლა, რომელიც მთელი წლის მანძილზე იმუშავებს.

შემოდგომაზე და ზამთარში, როგორც პიონერულ ქალაქში ნაკლებად იქნებიან ბავშვები, იგი სანატორიუმ-პროფილაქტორიუმად მოემსახურება სოფლის მშრომელებს — ას კაცს.

▼▼

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში ბავშვებს შეუძლიათ ნებისმიერ წრეში მეცადინეობა. სასახლეში მუშაობას ეწევა ინტეგრაციონალური მეგობრობის კლუბი, რომლის წევრთა რიცხვი - წელთაწყლობით იზრდება. ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმობის პროპაგანდა, მეგობრული ურთიერთობა საზღვარგარეთელ თანატოლებთან, აი — მოსწავლეთა საქმიანობის ძირითადი მიმართულება.

სურათზე: ხალხთა მეგობრობის ცვკვა.
შ. აბაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

▼▼

ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიხსნა საქართველოს ხოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოთეატრ „სტუდენტური“ ფიქიალი. პირველ ღღეს მაყურებელს უჩვენეს გ. ჩოხელის „ადგილის დედა“, ს. ახალთიანის „ძველი საწოლი“, დ. კირსანიას „თოჯინა“. „სტუდენტური“ ფოთის ფიქიალი ყოველი თვის ბოლო შაბათს უჩვენებს თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა და სარეჟისორო უკიდეტების სტუდენტთა, აგრეთვე სხვა ავტორთა კინოფილმებს.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝ. მეტად ნასიამოვნები ვართ, რომ მივიღეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხი ჩვენს წერილზე, განსაკუთრებით ამ დოკუმენტის გადაცემის ცერემონიაზე მექსიკის მმართველი ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის რევოლუციური ახალგაზრდული ფრონტის ეროვნული აღმასკომის გენერალურმა მდივანმა რაიმუნდო არეოლა ორტეგამ. მექსიკელი ქალიშვილები და ჭაბუკები, აღნიშნა მან, ისევე როგორც სხვა ქვეყნების ახალგაზრდობა, შეშფოთებული არიან იმით, რომ კაცობრიობას ბირთვული ომის საფრთხე შეექმნა, რომელშიც არ იქნებიან არც გამარჯვებულნი, არც დამარცხებულნი. მექსიკელები იღვწიან იმისათვის, რომ ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყანა ცხოვრობდეს მშვიდობიანად და მეგობრულად, მტკიცედ გვწამს, რომ კვლავაც უნდა განვავითაროთ საბჭოთა კავშირ-მექსიკის ურთიერთობა, ხელი შევუწყოთ ორივე ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

ეს აზრები, ხაზგასმით აღნიშნა რაიმუნდო არეოლა ორტეგამ, გავუზიარეთ საბჭოთა ხელმძღვანელებს წერილში, რომელიც გავუგზავნეთ მიმდინარე წლის 9 ივნისს ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის რევოლუციური ახალგაზრდული ფრონტის ფედერალური ოლქის კომიტეტის სახელით.

როგორც მ. ს. გორბაჩოვმა თავის პასუხში აღნიშნა, იზიარებს წერილის აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა შეიქმნას ისეთი მსოფლიო, რომელიც თავისუფალი იქნება ბირთვული ომის საფრთხისაგან, სადაც არ იქნება არც გამარჯვებული, არც დამარცხებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გულთბილად მიესალმა ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის ახალგაზრდობას და განაცხადა, რომ მას შეუძლია დიდ როლი შეასრულოს საბჭოთა და მექსიკელი ხალხების ტრადიციული მეგობრობის, სსრ კავშირისა და მექსიკის ახალგაზრდობის გულითადობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებასა და განვითარებაში.

მ. ს. გორბაჩოვის პასუხი ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის რევოლუციური ახალგაზრდობის ფედერალური ოლქის კომიტეტს გადასცა სსრ კავშირის ელჩმა მექსიკაში როსტისლავ სერგეევმა.

● ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘ

ᲨᲔᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ

ᲥᲐᲑᲣᲚᲘ. კიდევ 16 კონტრრევოლუციონერი გათავისუფლეს საპატიმროდან ფარიაბის პროვინციაში ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს პრეზიდიუმის ამნისტიის ბრძანებულების შესაბამისად. ავღანეთის სხვადასხვა პროვინციაში ამ დღეებში მიმდინარეობს მიტინგები და კრებები, რომელთა მონაწილენი იწონებენ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ნიმრუზის, ფარიაბის, ფარვანისა და სამანგანის პროვინციათა მუშაბმა, გლეხებმა, ინტელიგენციისა და სამოვდელოების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ღონისძიებებს, რომლებსაც სისხლისღვრის შეწყვეტისა და ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის მიზნით ახორციელებენ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია და ავღანეთის მთავრობა.

ამასთანავე, ზოგიერთი ანტისამთავრობო შენაერთი განაგრძობს შეიარაღებულ ბრძოლას, ქმნის ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში იარაღისა და ტყვია-წამლის საწყობებს. ამ ბოლო ხანს ბანდების განსაკუთრებული აქტიურობა შეიმჩნევა ავღანეთის დედაქალაქის უშუალო სიახლოვეს. როგორც ბახთარის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ამ რამდენიმე დღის წინათ ქაბულის პროვინციის პაგმანის მაზრის არუნდის რაიონში უშიშროების ძალებმა აღმოაჩინეს და უვნებელყვეს „დედამიწა-დედამიწის“ კლასის 4 გამზადებული რაკეტა. საათის მექანიზმით აღჭურვილი რაკეტები დამიზნებული იყო ქაბულის საცხოვრებელ უბნებზე. დუშმანთა დანაშაული თავიდან იქნა აცილებული უკანასკნელ მომენტში, მომაკვდინებელი ჭურვების გაშვებამდე 30 წუთით ადრე.

ᲯᲐᲝ ᲫᲘᲐᲜᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. (საკრებული). როგორც სინჰუას სააგენტო იუწყება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს /პრემიერი ჯაო ძიანი ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა ისლამაბადში. ცნობაში აღნიშნულია, რომ იგი შეხვდა პაკისტანის პრეზიდენტს ზია-ულ-ჰაკს და პრემიერ-მინისტრს ჯუნეჯოს. მოლაპარაკების დროს „განიხილეს ორმხრივი, რეგიონული და საერთაშორისო პრობლემები“.

ᲛᲡᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲭᲔᲠᲔᲜ

ᲰᲐᲜᲝᲘ. ვიეტნამის საზოგადოების ყოველმხრივი განვითარებისა და დემოკრატიზაციის გზაზე უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მორიგი კრების ეროვნული სესია, რომელიც დამთავრდა ჰანოიში. მისმა მონაწილეებმა განიხილეს ვიეტნამში სოციალისტური მშენებლობის აქტუალური საკითხები, აირჩიეს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ახალი შემადგენლობანი. დელეგატებმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირში ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამასწინანდელი ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან მ. ს. გორბაჩოვთან მის შეხვედრებს.

მოსკოვში გამართული მოლაპარაკება მოასწავებს ორი ქვეყნის პარტიებისა და ხალხების მეგობრობისა და სოლიდარობის განვითარებისა და განმტკიცების თვისებრივად ახალ საფეხურს, განაცხადა სესიის საბოლოო სხდომაზე ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვო ტი კონგმა.

საბოლო სიტყვა წარმოთქვა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ლი კუანგ დაომ. მან აღნიშნა, რომ უნდა გააძლიერონ ეროვნული კრების როლი, შეიმუშაონ მისი მუშაობის ახალი ქმედითი ფორმები და მეთოდები, გადაჭრით იბრძოლონ ბიუროკრატიზმისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. იგი უნდა გახდეს ხალხის ინტერესებისა და ნების ჭეშმარიტი წარმომადგენელი, თავის საქმიანობას ჩაქსოვოს განახლების, სიტყვისა და საქმის ერთიანობის სულისკვეთება, ნიადაგ. განმტკიცებდეს ამორჩეველებთან ურთიერთობას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სესიაზე მთლიანად დაუჭირეს მხარი ვიეტნამის კომპარტიის საშინაო და საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომლის მიზანია სოციალიზმის მშენებლობისა და სამშობლოს დაცვის სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲛᲐᲓᲠᲐᲡᲘ (სურათზე), სამხრეთ ინდოეთის უდიდესი სავაჭრო-სამრეწველო და კულტურული ცენტრი, ვოლგოგრადის დამმობილებული ქალაქია. ძნელბედობით იყო აღსავსე მისი სახელოვანი წარსული. სამას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეს მამაცი მეზღვაურებისა და მებადურების, ხელმარჯვე ოსტატებისა და ხალხური მთქმელების ქალაქი თავისუფლებისათვის იბრძოდა და ოცნებობდა. დამოუკიდებლობის ალამი მადრასში აღიმართა 1947 წელს, როცა ინდოეთი დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა.

ᲙᲐᲛᲔᲠᲐ ᲞᲠᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲠᲝᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

„ᲣᲝᲢᲔᲠᲒᲔᲘᲢᲘᲓᲐᲜ“ „ᲘᲠᲐᲜᲒᲔᲘᲢᲐᲛᲓᲔ“

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებულმა შტატებმა თავისებური „იუბილე“ აღნიშნა — თხუთმეტი წელი გავიდა უოტერგეიტის სკანდალის დაწყებიდან. ეს მოხდა 1972 წლის 17 ივნისს. დაახლოებით ღამის ორ საათზე ფრენკ უილსმა, „უოტერგეიტის“ კომპლექსის უშიშროების სამსახურის თანამშრომელმა, ოფისები რომ ჩამოიარა, შენიშნა, რომ სარდაფის კარი ვიღაცას გაეტეხა. დაუყოვნებლივ აცნობა პოლიციას, ადგილზე მოსულმა დეტექტივებმა დააპატიმრეს ხუთი კაცი, რომლებიც შეობაში შეპარულიყვნენ, რათა მეექვსე სართულზე გაეჩხრიკათ დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინა. ორიოდე დღის შემდეგ თეთრი სახლის წარმომადგენელმა სხვათა შორის გამოაცხადა, „უოტერგეიტში“ მესამეხარისხოვანი ქურდობა“ მოხდაო.

გამოხდა ცოტა ხანი, და „მესამეხარისხოვანი ქურდობა“ ისეთ პირველხარისხოვან პოლიტიკურ სკანდალად გადაიქცა, როგორც შეერთებული შტატების ისტორიაში არ ყოფილა; იგი პრეზიდენტ ნიქსონის იძულებითი გადადგომით დამთავრდა, რომელსაც გარდაუვალი იმპიჩმენტი, ანუ კონგრესში სასამართლო გარჩევა მოელოდა, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა არა მარტო თანამდებობიდან მოხსნა, არამედ, იქნებ, სისხლისსამართლებრივი სასჯელიც.

ამერიკის პრესა ფართოდ აშუქებს უოტერგეიტის სკანდალის 15 წლისთავს. სენსაციურ წვრილმანებს, რომლებიც, ესეც კია, უკვე ისტორიის კუთვნილებაა, თან სდევს კითხვები, რომლებიც აწმყოსა და მომავალს ეხება; რა არის „უოტერგეიტი“? გამონაკლისია თუ წესი? მორჩენილი თუ კრონიკული სენი? მივიწყებული თუ საჭიროროტო მოვლენა? ქარს გაჰყავ მისი გაკვეთილები თუ ჭკუა ასწავლა ვინმეს? ამ კითხვებზე რამდენადმე პასუხს იძლევა იმ გამოკითხვა შედეგები, რომელიც გელაპის ინსტიტუტმა მოაწყო. გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით,უოტერგეიტის სკანდალის შემდეგ „არავითარი არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, უფრო მეტნი კი აცხადებენ, „პრეზიდენტის ძალაუფლების ბოროტად გამოყენება იოლად შეიძლება განმეორდესო“. შენიშნეთ, არა უბრალოდ განმეორდეს, არამედ სწორედ რომ „იოლად“!

ჩვენში რომ ვთქვათ, გელაპის ინსტიტუტის გამოკვლევაში მაინც დამაინტ ახალი არაფერია. იგი მარტოოდენ აღრიცხავს იმას, რაც შეერთებულ შტატებში, მართლაც რომ, დღენიადაგ ხდება. ბომბებივით აფეთქებული პოლიტიკური სკანდალები, არსებითად, ერთ გაუთავებელ გუგუნად იქცა. იცვლება ადმინისტრაცია, იცვლებიან მინისტრები და კონგრესმენები, ეს გუგუნი კი კვლავინდებურად აყრუებს „დასავლური ცივილიზაციის და დემოკრატიის ბურჯს“. ამომრჩევლებს რომ მიმართავდა, კარტერს განუცხადებია: „მერწმუნეთ, არასოდეს არ მოგატყუებთო“. აი, სადამდე დაეცა ოფიციალური ვაშინგტონის მორალი — უმაღლესი არჩევითი თანამდებობის კანდიდატი იძულებულია ფიცი-მტკიცით დაამტკიცოს ამომრჩევლებს იმას, რაც თავისთავად უნდა იგულისხმებოდეს ნებისმიერ რიგიან კაცში, თუნდაც „ეროვნული წმინდანის“ არავითარი პრეტენზიები არ ჰქონდეს. მაგრამ კარტერის ადმინისტრაციამ კვირაობით თავისი ზნეობრივი ქადაგებითა და კვირის დანარჩენ დღეებში პოლიტიკური შეცოდებებით ვერაფერი შეცვალა შეერთებული შტატების კლიმატში. ტყუილად კი არ იყო, რომ მისი მმართველობის დასაწყისი აღინიშნა აურზაურიანი პოლიტიკური სკანდალით, რომელიც „კორეაგეიტად“ („უოტერგეიტის“ ანალოგიით) მონათლეს. ორმოცდაათამდე კონგრესმენი სამხრეთკორეული ბიზნესის დანაშაულებრივ მაქინაციებში გარეული აღმოჩნდა.

„კორეაგეიტს“ „ლენსგეიტი“ მოჰყვა. ჯორჯეული ბანკირი ბერტ ლენსი, კარტერის უახლოესი მეგობარი, რომელიც მან ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველოს დირექტორად დანიშნა, სასამართლოს წინაშე წარსდგა და ბრალად დაედო უკანონო ფინანსური ოპერაციები. როგორც შემდეგ გამოირკვა, ფინანსთა მინისტრი უილიამ მილერი, თურმე, ქრთამებს იღებდა, როცა „ტექსტრონის“ კორპორაციას მეთაურობდა. სწორედ კარტერის მმართველობის წლებში, რომელიც ხალხს დაჰპირდა, „არასოდეს არ მოგატყუებთო“, ამოტივტივდა „ლოკჰიდის“ საავიაციო კონცერნის საქმე. სწორედ მის დროს ჩასვეს სატესაღოში მერილენდის შტატის გუბერნატორი მანდელი, რომელსაც ბრალად დაედო თაღლითობა და გამოძალვა. და ბოლოს, სწორედ კარტერის დროს მოხდა კიდევ ორი სკანდალი, „ვესკოგეიტი“ და „ბილგეიტი“. პირველმა სამზეოზე გამოიტანა თეთრი სახლის საეკვო ურთიერთობა თაღლით საქმოსანთან რობერტ ვესკოსთან, მეორემ — პრეზიდენტის ღვიძლი ძმის — ბილის ბინძური მანიპულაციები.

„გეიტი“ ინგლისურად „კარიბეჭეს“, „კარს“ ნიშნავს. პოლიტიკური კორუფციის, ფინანსური თაღლითობისა და ზნეობრივი გახრწნის კარი ფართოდ არის გაფრიალებული ვაშინგტონის ხელისუფლების დერეფნებში. კანონის გამოყენებისა და მართლმსაჯულების აღსრულების სპარეზდენტო კომისიის აღიარებით, სწორედ ასეთი დაწაბაულობანი ზემოქმედებენ ყველაზე დამღუპველად „საზოგადოების მთელ ზნეობრივ კლიმატზე“. როგორც ცნობილი ეკონომისტი და დიპლომატი გელბრეიტი ამბობს, „პრივილეგირებული პირნი სრულ მოსპობას უფრო დათანხმდებიან, ვიდრე თავიანთი სარგებლის მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგავენ“. ერთი სიტყვით, მიზანი საშუალებას ამართლებს, მაშასადამე, ყველა საშუალება კარგია. „უოტერგეიტი“ და სხვა ამგვარი „გეიტები“ სწორედ ამ პრინციპების შედეგია, რომლებსაც ზედ ეფუძნა ამერიკული გაქანება და გერგელიანობა.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ იმან, რაც ამჟამად ხდება რეიგანის ვაშინგტონში, დიდად გადააჭარბა ყველა იმ „გეიტს“, რომლებიც პრეზიდენტების ნიქსონის, ფორდისა და კარტერის დროს მომხდარა. სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ ამ სკანდალმა პირველად შეაზანზარა მთელი მთავრობის აპარატი, როგორც იტყვიან, თავით ბოლომდე. თქვენ, რაღა თქმა უნდა, მიხვდით, რომ ლაპარაკია „ირანგეიტზე“. ეს უკვე გაცილებით მეტია, ვიდრე დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში შეპარვა, მისაყურადებელი მოწყობილობის დადგმა, მაგნეტოფონის ლენტის სახელგამეტეხი ნაწილის ამოჭრის ცდები. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს: „ყველაფერი, რაც მოსმენის დროს აღმოჩნდა, ისტორიული მასშტაბის სკანდალია თეთრ სახლში“. დიახ, სწორედ ასეა. რეიგანი და მისი გუნდი, ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრები, კანონისა და კონსტიტუციურ ხელისუფალთა გვერდის ავლით ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ უკვე არა მარტო საერთაშორისო, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც, და თავიანთ ქსელში აბამდნენ მთელ სახელმწიფოებს.

ისე მოხდა, რომ „უოტერგეიტის“ თხუთმეტი წლისთავი კონგრესში „ირანგეიტის“ საქმის მოსმენის პირველი ნახევრის დამთავრებას დაემთხვა. ამერიკელ ჟურნალისტთა კორპუსის უხუცესი ჯეიმს რესტონი სტატიაში „ნახევარი გზის შედეგები“, რომელიც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნდა, წერს: „სანამ ეს მოსმენა დაიწყებოდა, კონგრესს ის აშინებდა, რაც არ იცოდა, ახლა უკვე არა მარტო შეშინებული, არამედ აღშფოთებულიც არის იმის გამო, რაც შეიტყო, ახლა ხომ შემდეგი უცილობელი ფაქტები დადასტურდა:

— პრეზიდენტ რეიგანს ნამდვილად მოუწონებია ირანისათვის იარაღის გაგზავნა მას შემდეგ, რაც მოკავშირეებს სთხოვა არ ეწინააღმდეგებოდნენ ეს.

— მას მართლაც უცდია ირანისთვის იარაღი გაეცვალა მძევლებში, თანაც უარყოფს ამას.

— დოკუმენტები, რომლებიც ირანიდან ნიკარაგუელი კონტრასებისათვის იარაღის გაგზავნას ეხება, რაც არ ეთანხმება ბოულენდის შესწორებებს და კონგრესის ზრახვებს, შეცვალეს, მოსპეს ან თეთრი სახლის საქაღალდეებიდან ამოიღეს, რათა მამხილებელი საბუთები მიეჩქმალათ და გამოძიება დაეპრკოლებინათ. — სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ელიოტ აბრამსმა შეაცდინა კონგრესი, როცა ამტკიცებდა, ბრუნეისგან კონტრასებისათვის 10 მილიონი დოლარის მიღებაში მონაწილეობა არ მიმიღიაო“.

„ირანგეიტის“ ამ და სხვა ასპექტების შეჯამებისას რესტონი ბოლოს წერს: „უოტერგეიტის გამო ნიქსონის ადმინისტრაციის კონსტიტუციური კრიზისის შემდეგ ვაშინგტონში ასეთი პოლიტიკური აყალ-მაყალი არ მომხდარა, თანაც განსხვავება ის არის, რომ ამ სკანდალებს მოჰყვა არა მარტო ბრალდებანი იმისათვის, რომ ხელს უშლიან მართლმსაჯულების აღსრულებას, არამედ წამოიჭრა კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი საკითხი იმის თაობაზე, თუ ვინ უძღვება შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას“;

და კიდევ ერთი გამონათქვამი, რომელიც გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ მომომხილველს ჰეინს ჯონსონს ეკუთვნის: „ამ ამბის („ირანგეიტის“) შემდეგ ხელმძღვანელობის უმაღლეს წრეებში ერთი კაციც კი აღარ დარჩენილა, რომ ღირსეულად გამოიყურებოდეს“.

ᲘᲡᲔᲗᲘ როგორც „უოტერგეიტის დროს, ახლაც დახსნეს და დაიფრინეს ხალხი. იძულებული გახდნენ გადადგარიყვნენ შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწეები ეროვნული უშიშროების საკითხებში მაკფარლეინი და პოინდექსტერი, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხვა თანამშრომლები, თეთრი სახლის თანამშრომელთა შტატის ხელმძღვანელი რიგანი და კიდევ ნაირ-ნაირი წვრილფეხობა. მათ შორის არის პოდპოლკოვნიკი ოლივერ ნორტი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღმოჩნდა, კანონს არღვევდა და ბინძურ ფინანსურ საქმეებშიც გარეულა, რეიგანმა საქებუყნად „ეროვნულ გმირად“ გამოაცხადა! ასეთია თანამედროვე ვაშინგტონის ზნეობრივი საწყაო.

ამბობენ, დიადიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯიაო. ეროვნული არქივის — ამერიკის დედაქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი შენობის თაღებქვეშ გვერდი-გვერდ ინახება შეერთებული შტატების ისტორიის უმნიშვნელოვანესი საბუთები, მათ შორის დამოუკიდებლობის დეკლარაციის, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციისა და უფლებათა ბილის დედნები. 1980 წლის მაისში ეროვნულ არქივს შეემატა კიდევ ერთი უნიკალური ექსპონატი — მიყუჩადების სისტემის მაგნიტოფონური ჩანაწერები, რომელიც თეთრ სახლში საიდუმლო სამსახურს დაუდგამს პრეზიდენტ ნიქსონის ბრძანებით, სწორედ ის ჩანაწერები, რომელსაც მოჰყვა პრეზიდენტის დამხობა უოტერგეიტის სკანდალის ფინალში. მე ამერიკელებთან ერთად ოცდამეშვიდე, ხოლო საბჭოთა მოქალაქეთაგან პირველი ვიყავი, რომელმაც მოვისმინე ამ ჩანაწერების ყველაზე საინტერესო ნაწყვეტები. მას შემდეგ, რაც იგი საყოველთაო კუთვნილება გახდა. დღემდე მიწყვია ყურში ხელქვეითებთან ნიქსონის საუბრის ჩანაწერების ბოლო ფრაზა, რომელიც მთავრდება პრეზიდენტის მიმართვით: „გაქვთ კიდევ შეკითხვები?“.

როგორც უოტერგეიტის სკანდალიდან გასულმა თხუთმეტმა წელმა დაადასტურა, შეკითხვები არის. უფრო მეტიც, ეს შეკითხვები ყოველწლიურად მრავლდება და სულ უფრო აშკარას ხდის კაპიტალისტური ამერიკის ხელისუფლებისა და ზნეობის ჭეშმარიტ ხასიათს.

ᲛᲔᲚᲝᲠ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ.
(სპეციალურად „კომუნისტისთვის“).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ᲕᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲗᲘᲡ

ᲓᲣᲓᲔ ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲫᲔ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲐᲙᲘᲓᲐ. ერთი კეთილი კაციც გამოარჩია სიკვდილმა... „ვერ ჩამოვდ რეზო დვალიშვილის დაკრძალვაზე, ვერ ვარ კარგად, ბიჭებო“... გვითხრა ტელეფონით ამ ორიოდე კვირის წინათ.

ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად უჩიოდა ჯანმრთელობას, თითქოს ძველებური, იუმორით შეფერილიც აღარ იყო მისი საუბარი...

ერთ რამედ ღირდა თბილისში დუდეს ჩამოსვლა: მოვიდოდა რედაქციას, სიყვარულსა და ღიმილს, ქუთათურ კოეორიტს დატოვებდა განყოფილებებში, მისი სახით გაზეთ „კომუნისტს“ ქუთაისის ზონაში ჰყავდა შესანიშნავი ჟურნალისტი, პრინციპული, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე პიროვნება.

მის ნაწერს გამოარჩევდით, ქართული სიტყვა უყვარდა. მასწავლებლის, სხვადასხვა კომკავშირული და პარტიული სამუშაოს, გაზეთ „ქუთაისის“ პარტიული განყოფილების გამგეობის შემდეგ — 1972 წლიდან „კომუნისტში“ გამოჩნდა მისი როგორც ჟურნალისტის, პარტიული პრესის მუშაკის საუკეთესო თვისებები, პროფესიონალიზმი, საქმისათვის უდიდესი პასუხისმგებლობა. სწორედ „კომუნისტში“ მუშაობის პერიოდში მიენიჭა დუდე გედენიძეს რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება. მის ნარკვევს თუ რეპორტაჟს, ჩანახატსა თუ კორესპონდენციას ეღოდა მკითხველი, და ისიც სიყვარულით მოგვითხრობდა ქუთაისელი ავტომშენებლების, მაიაკოვსკელი მეევნახეების, წყალტუბოელი და წულუკიძელი მებოსტნეებისა და მეჩაიეების შრომითს წარმატებებზე. მკაცრად ამხელდა ნეგატიურ მოვლენებს.

დუდე გედენიძე ავტორია ოსტატურად დაწერილი ნარკვევების კრებულებისა: „მოდის ახალი ადამიანი“, „414-ე დივიზიის ნაკვალევზე“, „ჩემი ქალაქის ქრონიკები“, „პამირის ღელეებში“ და სხვ. ბევრი შესანიშნავი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა...

მაღე სამოცისა გახდებოდა, „დავოლაღე, კარგია პენსიამდე თუ მივაღწიე“... ველარ მიაღწია, აღრე დაუღამდა, პირნათელი კი წავიდა, საქმეში, მეგობრობაში პირნათელი...

მისი სახით ქართველმა საზოგადოებრიობამ დაკარგა შესანიშნავი ინტელიგენტი, ჟურნალისტიკამ — გამორჩეული ოსტატი, ქუთაისმა კი კიდევ ერთი კოლორიტული პიროვნება.

მსუბუქი იყოს შენთვის შენი უსაყვარელესი ქალაქის მიწა, ჩვენო მეგობარო.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკური პირველობა. უკანასკნელ, მეცამეტე ტურში ჯანჭოლავამ წააგო კრასნოკოვთან. ამრიგად, ბათუმელმა ოსტატმა ბოლო მომენტში გაასწორო მეტოქეს და 9,5 ქულით ჩემპიონის წოდება მოიპოვა, ჯანჭოლავა კი 9 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა. როგორც კრასნოკოვი, ისე ჯანჭოლავა მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. ხეცურიანმა ყაბამთ დაამთავრა შეხვედრა ტაბატაძესთან, 8,5 ქულა დააგროვა და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. მან ოსტატის ნორმაც შეასრულა.

ბოლო ტურის სხვა შედეგები ასეთია: მახაგაძემ მოუგო ეფიმოვს, ტყეუჩავამ — გაფრინდაშვილს, სტურუა ყაიმზე შეუთანხმდა გიორგაძეს, გედევანიშვილი — შალამბერიძეს, ბაღათუროვი — ჩაჩიბაიას.

გიორგაძემ და ტაბატაძემ 7,5-7,5 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება, გაფრინდაშვილს, სტურუასა და ტყეუჩავას 6,5-6,5 ქულა აქვთ, ბაღათუროვს, ეფიმოვსა და ახაგაძეს — 5,5-5,5, გედევანიშვილსა და ჩაჩიბაიას — 4,5-4,5, შალამბერიძეს — 4 ქულა.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ. დღეისათვის უმაღლესი ლიგის გუნდები საკავშირო ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში ასეთი თანამიმდევრობით არიან განლაგებული:

	მ.	ფ.	წ.	ბ	ქ.
„სპარტაკი“	7	6	2	23-15	20
„ტორპედო“ მ	6	7	2	14-7	19
„დნეპრი“	7	4